

ირაკლი მანველიძე

საერთაშორისო პოლიტიკის  
ლექსიკონ-ცნობარი



გამოიცემულია „უნივერსალი“  
თბილისი 2012

**ლექსიკონ-ცნობარი** დაინტერესებულ პირებს დაეხმარება საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტერმინების გაგებასა და აღქმაში. იგი კარგ სამსახურს გაუწევს უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი პროფილის სპეციალობის სტუდენტებს.

#### **რედაქტორი:**

**ნატალია ლაზარა  
აკადემიური დოქტორი**

#### **რეცენზენტები:**

**ინეზა ზოიძე  
ასოცირებული პროფესორი  
ზაზა ბურკაძე  
ასისტენტი პროფესორი**

საერთაშორისო პოლიტიკის ლექსიკონ-ცნობარი,  
ბათ., 2012

© ირაკლი მანველიძე, 2012

**გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012**

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ჟ: 222 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

## **აგრესია**

სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ანდა ძალის გამოყენება სხვა, გაეროს წესდების საწინააღმდეგო საშუალებით.

## **ავტარაია**

ქვეყნის ეკონომიკური იზოლაცია, რომელიც მიმართულია იზოლირებული ეროვნული მეურნეობის შექმნისაკენ.

## **ალიანსი**

ეს არის ფორმალური შეთანხმება ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომელიც უსაფრთხოების სფეროში საერთო ინტერესების შესრულებას ისახავს მიზნად. ალიანსები შეიძლება იყოს საიდუმლო ან ღია, ორმხრივი ან მრავალმხრივი. ალიანსების შექმნის მიზეზებია: 1) პასუხი გარეშე საფრთხეზე; 2) იდე-ოლოგიური სოლიდარობა; 3) გარეშე სახელმწიფოს დახმარება; 4) უცხო სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში „შეღწევა“, ანუ მის საშინაო პილიტიკურ სისტემაზე ზეგავლენის მოპოვება. მსოფლიო ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით მრავალი ალიანსი თუ კოალიცია იქნა შექმნილი. მსგავსი ტიპის კავშირები იქმნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და როცა მათ წინაშე საერთო საფრთხე არსებობდა. სხვადასხვა ალიანსებისა თუ კოალიციების შექმნით კავშირში შემავალი სახელმწიფოები ერთად აწონასწორებდნენ მეტოქის რეალურად თუ სუბიექტურად აღთქმულ ძლიერებას. კავშირის წევრები მიიჩნევდნენ, რომ პოტენციური აგრესორი საკმაოდ ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდებოდა. კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ტიპის კავშირების მრავალი მაგალითი არსებობს. მაგალითად ანტიკურ საბერძნეთში ძველი წელთაღრიცხვით 280-146 წლებში არსებობდა „აქელთა კავშირი“, რომელიც ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების „ანტიმაკედონიურ ფედერაციას“ წარმოადგენდა და რომლის

მიზანსაც შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბერძნული სახელმწიფოს-მაკედონიის დანარჩენ ბერძნულ სახელმწიფო-ებზე შესაძლო პოლიტიკური და სამხედრო გავლენის შეკავებას ისახავდა მიზნად. ალიანსებისა და კოალიციების მაგალითები შუა საუკუნის განმავლობაშიც მრავლად მოიპოვება. ავილოთ თუნდაც მე-17 საუკუნეში, კერძოდ 1618-1648 წლებში გამართული ოცდაათწლიანი ომის შემთხვევა, როდესაც იმ პერიოდს ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესი სახელმწიფოს, საფრანგეთის, აგრეთვე ამ უკანასკნელის მოკავშირეების მოსალოდნელი სამხედრო ექსპანსიის შეჩერების მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა “ჰაბსბურგთა ბლოკი”, რომელშიც შედიოდნენ ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგები, კათოლიკე გერმანელი მთავრები, რომლებსაც მხარს თავის მხრივ რომის ჰაპი და რეჩ პოსპოლიტა (პოლონეთი) უმაგრებდა. იგივე შეიძლება ითქვას 1701-1714 წლებში გამართულ ომზე „ესპანეთის მემკვიდრეობისათვის”, სადაც ფრანგულ-ესპანური კოალიციის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთის, პოლანდიის, ავსტრიისა და პრუსიის კავშირი მოგვევლინა. ასევე, კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული კოალიცია ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის შემადგენლობით. უახლეს ისტორიაში რა თქმა უნდა ცნობილია პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიის წინააღმდეგ შექმნილი „ანტიანტის“ (შეიქმნა 1904-1907 წლებში, შედიოდნენ ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი) და „სამთა კავშირის“ (შეიქმნა 1882 წელს და მასში შედიოდნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები. მსოფლიო ისტორიაში უდიდესი კოალიცია მეორე მსოფლიო ომის დროს იქნა დაფუძნებული, რომელიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ იქნა ჩამოყალიბებული. მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ სტადიაზე „ანტიჰიტლერულ კოალიციაში“ 50 სახელმწიფოზე მეტი იყო გაწევრიანებული. თუმცა, ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული სახე კავშირებმა უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო, როდესაც მოსალოდნელი საბჭოთა აგრესისგან და ევროპაში კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების საფრთხისგან თავის დასაცავად შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო ერთის

მხრივ, და მეორეს მხრივ კომუნისტური იდეოლოგების მოსაზრებით „დასავლური იმპერიალიზმისაგან“ თავდაცვის მიზნით საბჭოთა ბლოკში შემავალი სახელმწიფოების ინიციატივით - ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია დაფუძნდა. საერთაშორისო ურთიერთობებში, ანგლო-პორტუგალიური ალიანსი, რომელიც 1373 წელს გაფორმდა ინგლისის სამეფოსა და პორტუგალიას შორის, მსოფლიოში უძველესი ალიანსია და იგი დღესაც ძალაშია.

## ამერიკის სახელმიწოდა ორგანიზაცია

რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1948 წელს. მისი წევრია 35 სახელმწიფო. გარდა წევრებისა მეთვალყურის სტატუსით სარგებლობენ ავსტრია; ბელგია; გერმანია; ესპანეთი; იტალია; კანადა; ნიდერლანდი; საფრანგეთი; შვედეთი. ორგანიზაციის მიზნებია: კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, სადაც საკითხების მშვიდობისა მოგვარება და უთანხმოების თავიდან აცილება; აგრესის შემთხვევაში – ერთობლივი მოქმედება, ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტისათვის ხელშეწყობა, ძალთა გაერთიანება ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული პროგრესისათვის. ასო-ის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით, რომელიც 1947 წელს რიო-დე-ჟანეიროში იქნა ხელმოწერილი, აგრეთვე სხვა სამხედრო შეთანხმებებით. ორგანიზაციაში შესვლა შეუძლია დასავლეთ ნახევარსფეროს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მის წესდებას აღიარებს სტრუქტურა. ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელსაც ყოველწლიურად იწვევენ. იგი განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკასა და საქმიანობას, მისი ორგანოების სტრუქტურასა და ფუნქციებს. ყველა ქვეყნისათვის საინტერესო, სასწრაფო ხასიათის პრობლემების განსახილველად იწვევენ საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო თათბირს. სამხედრო თანამშრო-

მლობის საკითხებზე საკონსულტაციო თათბირს. სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე საკონსულტაციო თათბირის დასახმარებლად დაარსებულია თავდაცვის საკონსულტაციო კომიტეტი აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანოა მუდმივი საბჭო, რომელიც ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შედგება. საბჭოსთან შექმნილია მრავალი დამხმარე ორგანო: პანამერიკული სამართლებრივი კომიტეტი (ქ. რიო-დე-ჟანეირო) კონსულტაციებს უწევს გენერალურ ასამბლეას. მის მოვალეობას შეადგენს იმ საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების შემუშავება და კოდიფიკაცია, რომლებიც ხელს უწყობენ ამერიკის სახელმწიფოთა ინტეგრაციის პროცესს

## ანაკოდას სტრატეგია

ატლანტიზმის გეოპოლიტიკური ხაზი, რომელიც გულისხმობს ევრაზიის მაქსიმალურად მეტი სანაპირო ტერიტორიის გაკონტროლებას მისი გეოპოლიტიკური ექსპანიის შესაჩერებლად. მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკლა გეოპოლიტიკოსებმა მეპენმა (აშშ-ს საზღვაო ძალების ოფიცერი, მას ეკუთვნის საინტერესო მოსაზრება, რომ ვაჭრობა პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რაც კარგი გასაღებია თავისუფალი ვაჭრობის მომხრე ქვეყნების პოლიტიკის სწორად გასაგებად) და მაკეინდერმა (განათლებით გეოგრაფმა) დაამუშავეს გეოპოლიტიკური თეორიები, რომლის მიხედვითაც მსოფლიოზე ბატონობის მოსაპოვებლად აუცილებელია ევრაზიის კონტინენტის სანაპირო ზონებზე კონტროლის განხორციელება, რათა ხელი შეეშალოს რუსეთის ოკეანეში გასვლას და საზღვაო სივრცე მთლიანად აშშ-ს დარჩეს. ამ გეგმას „ანაკოდას“ სახელი ეწოდა, რადაგანაც გულისხმობდა რუსეთის გარშემო აშშ-ს მოკავშირე ქვეყნების რკალის შემორტყმას და თანდათან შევიწროებას. შემდეგში მას შეკავების დოქტრინა (იგულისხმება რუსეთის შეკავება) დაარქვეს.

## **ანალიზის დონეები**

მეთოდოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებული ცნება საერთა-შორისო ურთიერთობის თეორიაში. პრობლემის არსი ისაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას საჭიროა დადგენა იმისა, თუ რომელ დონეზე უნდა მოხდეს საკვლევი ფენომენის შესწავლა. დევიდ ზინგერი განასხვავებს მიკრო და მაკრო (ანუ სახელმწიფო და საერთასორისო სისტემურ) დონეებს, კენტ ვოლცი - ინდივიდუალურ, სახელმწიფო და სისტემურ დონეებს, ბარი ბუზანი - სისტემურ, ქვესისტემურ, სახელმწიფო, ბიუროკრატიულ და ინდივიდუალურ დონეებს. ანალიზის დონეებად დაყოფა გვეხმარება შესასწავლი ერთეულების ქცევის აღწერასი, პროგნოზირებასა და ახსნაში, აგრეთვე იმის გარკვევაში, თუ რომელი დონიდან უფრო უკეთესად შეგვიძლია მივიღოთ პასუხი დასმულ შეკითხვაზე.

## **ანარქია**

ცალკეული სუბიექტების მიერ ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობით გამოწვეული უწესრიგობა და მასობრივი არეულობა. ანარქიის წყარო ქვეყანაში შეიძლება გახდეს რევოლუცია ან სახელმწიფო გადატრიალება. ანარქია საერთაშორისო ურთიერთობებში უნივერსალური მთავრობის, ცენტრალური ხელისუფლების არარსებობა. ანარქიის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში მჭიდროდ უკავშირდება წესრიგს, თანამშრომლობას, უსაფრთხოების დილემას, კოლექტიური უსაფრთხოების საკითხებს. ანარქია საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომელიც საერთაშორისო სისტემის სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათზე, მის ზოგად მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. ანარქის ლოგიკის მიხედვით, სახელმწიფოები რაციონალური მოქმედი პირები არიან, რომლებიც ეროვნული ინტერესების მიხედვით მოქმედებენ და მათი ურთიერთქმედების მთავარი გამოვლინებები თანამშრომლობა და კონფლიქტია.

## **ანექსია**

სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის მითვისება ძალით ან მისი გამოყენების შუქარით.

## **არაბულ სახელმწიფოთა ლიგა**

რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1945 კაიროს კონცეფციაზე. 1950 წელს ლიგის წევრებმა წესდების დამატებით ხელი მოაწერეს თავდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივ ხელშეკრულებას, ხოლო 1965 წელს – სოლიდარობის პაქტს, რომელიც თავისი ფორმით საერთაშორისო ხელშეკრულებაა. ორგანიზაციის მიზნებია: ლიგის წევრ სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკის კოორდინაცია, სუვერენიტეტის დაცვა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა, უთანხმოებათა მშვიდობიანი მოგვარება, კოლონიური დამოკიდებულებისა და ნეოკოლონიალიზმისაგან არაბეთის ქვეყნების სრული განთავისუფლებისათვის ერთობლივი ბრძოლა, მჭიდრო თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგებში, ლიგის წევრ სახელმწიფოთა შორის მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფა და სხვ. ლიგის უმაღლესი ორგანო ლიგის საბჭო, რომელშიც შედიან ყველა წვერი ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოს სესიები ტარდება წელიწადში ორჯერ. სესიებს შორის ლიგის ხელმძღვანელობას ახორციელებს გენერალური სამდევნო, რომელთანაც არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციის, პალესტინის საქმეების, ნავთობის საკითხებისა და სხვა დეპარტამენტები. სამდივნოს სათავეში უდგას გენერალური მდივანი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევენ. სამდივნოში ფინანსურირებს: а) ეკონომიკურ საკითხთა საბჭო; б) თავდაცვის გაერთიანებული საბჭო; გ) მუდმივი სამხედრო კომისია. ლიგის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, ინსტიტუტები და სპეციალიზირებული ორგანიზაციები ( მათ შორის: არაბეთის შრომის ორგანიზაცია, აარბეთის ეკონომიკური ერთობის საბჭო, არაბეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონდი, არაბეთის სავალურო ფონდი), რომლებსაც იგი ფინანსურ დახმარებას უწევს. ლიგის

შტაბ-ბინა განლაგებულია ქ.კაიროში, ოფიციალური ენაა არაბული.

## არაკონვენციური ომი

ასეთი ომის დროს მოწინააღმდეგის დამარცხება ხდება მოწინააღმდეგის დათანხმებით დაგმორჩილდეს და გამოაცხადოს კაპიტულაცია, მაშინაც კი, როცა მას შესწევს ძალა წინააღმდეგობის გაწევის. ასეთი ომების მთავარი მიზანი არის მოხდეს მოწინააღმდეგის მოტივირება რომ შეწყვიტოს ომი, რაც შესაძლებელია მოხდეს სამოქალაქო საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. არაკონვენციური ომის ტიპები: პარტიზანული ომები; ფსიქოლოგიური ომები; ბიოლოგიური ომები; ელექტრონული ომები; კოსმოსური ომები, კიბერ ომები, ბირთვული ომები

## არასამთავრობო საერთაშორისო მრგანიზაცია

რამდენიმე სახელმწიფო საზოგადოებრივი ჯგუფის, კავშირის ან კერძო პირთა მიერ შექმნილი გაერთიანება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო თუ სხვა სფეროსი საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებისა და გაღრმავების მიზნით. იმისათვის, რომ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციას სათანადო სტატუსი ჰქონდეს, იგი უნდა კმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს; საქმიანობას ეწეოდეს ორზე მეტ სახელმწიფოში, ამასთან, თავისი შემადგენლობით, მიზნებითა და ფინანსური მხარდაჭერით საერთაშორისო ხასიათის უნდა იყოს.

## არპიტრაჟი (საერთაშორისო)

სამედიატორო სასამართლო ისეთ დავათა გადასაწყვეტად, რომლებშიც მხარეებად გვევლინებიან სახელმწიფოები. ის შესაძლოა იყოს მუდმივმოქმედიც და ერთჯერადიც. უმრავლეს შემთხვევაში იგი კონკრეტული სადაცო საკითხის გადასაწყვეტად იქმნება. არბიტრაჟის შემადგენლობაში შედიან მოდავე მხარეების წარმომადგენლები და განსაკუთრებული შეთანხმების

საფუძველზე დანიშნული კიდევ ერთი არბიტრი ე. წ. სუპერა-  
რბიტრი.

## არბიტრისა

ეს არის კონფლიქტში ჩაბმული მხარეების ურთიერთმორიგების  
მეთოდი, რომლის დროსაც არ მისდევენ ფორმალურ პროცედუ-  
რებს ან წესებს. მისი ნაკლი ის არის, რომ არბიტრირება უფრო  
მოდავე მხარეებს შორის მშვიდობის მიღწევას ემსახურება, ვიდ-  
რე სამართლიანობის დაცვას. არბიტრირებას ძირითადად სავაჭ-  
რო—სამეურნეო და საერთაშორისო ურთიერთობებში წარ-  
მოშობილი სადაც საკითხების მოსაგვარებლად მიმართავენ.

## არბიტრისა სახელმიწოდებლის

მათ სხვაგვარად კვაზისახელმიწოდებსაც უწოდებენ. ეს არის  
ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც  
წესრიგის, კანონიერებისა და მოსახლეობის ძირითადი საჭირო-  
ებების უზრუნველყოფის არარსებობით ხასიათდება. მათვის  
დამახასიათებელია სოციალური კონფლიქტი, ძალმომრეობა  
ეთნიკური ნაციონალიზმი, მილიტარიზმი და რეგიონული  
დაპირისპირება. ტერმინი ერთ—ერთმა პირველმა გამოიყენა  
რობერტ კაპლანმა.

## ასიმეტრიული ომი

ომის სახეობა, როდესაც, მეომარი მხარეების სამხედრო ძალა ერთმ-  
ანეთისგან მკვეთრად განსხვავდება ან როდესაც, მათ მიერ  
გამოყენებული სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა განსხვავდება  
მნიშვნელოვნად. ასიმეტრიული ომის საპირისპიროა სიმეტრი-  
ული ომი, სადაც მეომარ მხარებს აქვთ შედარებით მსგავსი  
სამხედრო ძალა და იყენებენ სამხედრო სტრატეგიას და  
ტაქტიკას, რომელიც ერთმანეთის მსგავსია; განსხვავება  
შეიმჩნევა მხოლოდ დეტალებში და მათი შესრულების გზებში.  
ტერმინი ასიმეტრიული ომი ხშირად გამოიყენება ისეთი  
სიტუაციების აღსანერად, როგორიცაა პარტიზანული ბრძოლა,  
ტერორიზმი, ამბოხება და ზოგადად ისეთი შეიარაღებული  
კონფლიქტების დროს, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება

ოფიციალური, რეგულარული სამხედრო ძალა, არარეგულარულ, ცუდად აღჭურვილ მეტოქეს. დროთა განმავლობაში, ამ ტერმინს სამხედრო და აკადემიურ საზოგადოებაში იყენებდნენ პარტიის ბრძოლების, ამბოხებისა, ტერორიზმის, კონტრ ტერორიზმის აღსანიშნავად. ამ ტერმინს მიენიჭა დამატებითი მნიშვნელობა და იყენებდნენ არა მხოლოდ, სამხედრო ძალებს შორის დიდი განსხვავების აღსანიშნავად, არამედ მკვეთრად განსხვავებული ტაქტიკის და სტრატეგიის გამოყენების აღსანიშნავადაც. თანამედროვეობაში, ასიმეტრიული ომი, სულ უფრო ხშირად ითვლება მეოთხე თაობის ომის ერთ ერთ ნაწილად (კონფლიქტის მახასიათებლები, როდესაც ომსა და პოლიტიკას, ჯარისკაცსა და სამოქალაქო პირს შორის სხვაობა სულ უფრო ქრება). ზოგიერთი თვლის, რომ თუ ასიმეტრიული ომი გასცდა ომის კანონებს, ის გადადის ტერორიზმში. ასიმეტრიული ომების ტაქტიკური წარმატება დამოკიდებულია რამოდენიმე კომპონენტზე, მათ შორის: ტექნოლოგიურ უპირატესობაზე - თუ რომელიმე მხარეს ექნება ტექნოლოგიური უპირატესობა, ამან შეუძლია გადაწონოს, მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობა.

## ასიმილაცია

ასიმილაციის რამდენიმე სახეს გამოყოფენ. მათ შორის კულტურული და სოციალური. ეს არის ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების ან თვით ამ სოციალური ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფის (ან საზოგადოების) თვისებების თანდათანობითი შეთვისების პროცესს, რასაც შედეგად მოხდევს ახალ ჯგუფთან შერევა და ძველი სოციალურ-კულტურული იერსახის დაკარგვა. ამ პროცესის ობიექტური საფუძველია საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ინტეგრაცია და ინტერნაციონალიზაცია სხვადასხვა მასშტაბით.

## აფრიკული კავშირი

რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1963 წელს და აერთიანებს აფრიკის 49 სახელმწიფოს. ორგანიზაციის მიზანია: ზრუნვა აფრიკის სახელმწიფოთა და სოლიდარობის

განტმიცებისათვის, მათ შორის თანამშრომლობის განვითარება და კოორდინაცია, ღონისძიებათა გაერთიანება აფრიკის ხალხთა საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის დაცვა, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება გაეროს წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე. ორგანიზაციის მთავარი ორგანოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეა, რომელსაც წელიწადში ერთხელ იწვევენ. ასამბლეის გადაწყვეტილებათა და რეზოლუციატა შესრულების საქმეს განაგებს ორგანიზაციის მინისტრტა საბჭო. იგი შედგება საგარეო საქმეთა და სხვა მინისტრებისაგან, რომლებიც შესაბამის სახელმწიფოთა მთავრობების მიერ უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციის საქმიანობაში აფრიკული კავშირის ორგანიზებია აგრეთვე: პარამენტი, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომისია, ტექნიკური კომიტეტები. ყველა ორგანოს ორგანიზაციულ-აღმასრულებელი საქმიანობის მომსახურება აკისრია მიდმივმოქმედ გენერალურ სამდიგნოს. ორგანიზაციის ფარგლებში მუშაობს შუამავლობისა და არბიტრაჟის კომისია. გარდა ამისა, არსებობს მრავალი სპეციალიზირებული ორგანო – ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომისია, განათლებისა და კულტურის საკითხთა კომისია, თავდაცვის საკითხთა კომისია და სხვ. შტაბ-ბინა განლაგებულია ადის-აბებაშია (ეთიოპია). სამუშაო ენებია: არაბული, ფრანგული, ინგლისური.

## აქტორი

ეს არის პოლიტიკის სუბიექტი. საერთაშორისო ურთიერთობებში აქტორებს წარმოადგენენ სახელმწიფოები, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკობიზნესთან დაკავშირებული და სხვა კრიმინალური დაჯგუფებები, რელიგიური ორგანიზაციები და ინდივიდებიც (მაგ., რომის პაპი).

## **ახალი მსოფლიო ცენტრი**

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მიერ ჩამოყალიბებული საერთ-აშორისო ურთიერთობათა ხედვის სისტემა, რომელიც მოქმედების კონკრეტულ გეგმას არ ისახავდა და მხოლოდ რიტორიკის დონეზე დარჩა.

## **პიპლარულობა**

იგივე საერთაშორისო ურთიერთობის პიპლარული სისტემა, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მას სხვაგვარად იაღტა-პოტსდამის სისტემასაც უწოდებენ. ბიპოლარული სისტემა გულისხმობს ძალთა გარკვეულ განაწილებას პოლუსებს შორის, მაგრამ იგი არ წერმოადგენს ძალთა წონასწორობის სისტემას. ამ პერიოდში საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაში ორი აშკარა პოლუსი - ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი იყო გამოკვეთილი. თითოეულ მათგანს ჰყავდა მთელი ჯგუფი სატელიტი სახელმწიფოებისა, რომლებიც პოლიტიკურად, ეკონომიკურად და იდეოლოგიურად ამ ორ ზესახელმწიფოზე იყვნენ დამოკიდებულნი. აღნიშნული ორი ბლოკის ურთიერთდაპირისპირება განსაზღვრავდა კიდეც სისტემის ხასიათს.

## **პირთვული ზამთარი**

ბირთვული ომის შემთხვევაში ეს არის მდგომარეობა, რომელიც მოსალოდნელია დედამინაზე. ატომური აფეთქებების შედეგად ჰაერში გამოტყორცნილი ნარჩენები ხელს უშლის მზის სხივებს დედამინამდე მოღწევას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტემპერატურის მკვეთრ დაცემას.

## **პირთვული პარიტეტის კონცეფცია**

1960 წლისთვის, საკონტინენტოთაშორისო ბალისტიკური რაკეტების რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ითვლებოდა, რომ ა.შ.შ-ს და საბჭოთა კავშირს, ორივე მხარის მთელი პოპულაციის და ინფრასტრუქტურის დანგრევა შეეძლო. ამის შედეგად ჩამოყალიბდა ე.ნ. ბირთვული პარიტეტის (თანასწორობა) კონ-

ცეფცია, რომლის მიხედვითაც, ორ სახელმწიფოს შორის, ფართომასშტაბიანი ბირთვულის ომის შემთხვევაში, მოხდება ორივე მხარის სრული განადგურება, შესაბამისად ომს არ ეყოლება გამარჯვებული.

## პირთვული ქოლგა

საერთაშორისო პოლიტიკაში ეს არის შემთხვევა, როცა ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყანა იღებს ვალდებულებას, დაიცვას სხვა ქვეყნები ამ იარაღისაგან. ამის ერთ-ერთი მაგალითია ნატოს ვალდებულებები, რც თავის თავზე აიღო აშშ-მ.

## პირთვული შეკავება

დოქტრინა, რომელიც შემუშავდა აშშ-ი და მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიონიზმის შეჩერებას მსოფლიოში. რეალურად შეკავების პოლიტიკა გამოიხატა საბჭოთა კავშირის გარშემო ანტისაბჭოური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების (ნატო, სენტრ, სეატო) შექმნაში. მისი მიზანი იყო ის რომ არსად არ უნდა წარმოქმნილიყო ახალი სოციალისტური სახელმწიფოები. მოგვიანებით ეს მიდგომა „ბირთვული დაშინების“ პოლიტიკაში შეცვალა.

## გლოკაცა

ომის ან საერთაშორისო კონფლიქტის მიმდინარეობისას, რაიმე მოთხოვნის შესრულების იძულებისთვის გამიზნული გარე სამყაროდან რომელიმე სახელმწიფოს იზოლაციისკენ მიმართული ღონისძიებათა (სამხედრო, ეკონომიკური) სისტემა. იგი შეიძლება მშვიდობაზე დროსაც განხორციელდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლით მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გაერთს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით. მშვიდობიან დროს ცალკე სახელმწიფოს ინდივიდუალური ბის განხორციელების უფლება არა აქვს.

## პულერული სახელმწიფო

პატარა ან სუსტი სახელმწიფო, რომელიც დიდი ან ძლიერი სახელმწიფოების მოსაზღვრედ მდებარეობს და ამ უკანასკნელთა

შორის ურთიერთობებში ერთგვარი შემაკავებელი ზონის, ანუ „ბალიშის“ ფუნქციას ასრულებს.

## გადადაინების ეფექტი

ინტეგრაციის თეორიის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ინტეგრაციის პროცესი გარკვეული პერიოდის შემდეგ თვითგანვითარების მუხტს იძენს. მისი წარმოშობის მიზეზი დარგობრივი ინტეგრაციის პროცესში მონანილე სახელმწიფოების მიერ საერთო ინტერესების მაქსიმალიზაციაა, რაც შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს და, ამრიგად, ინტეგრაციას აღრმავებს.

## გაერო

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა 1945 წელს. წევრი თითოეული სახელმწიფო, განურჩევლად სიდიდისა, ეკონომიკური თუ სამხედრო ძლიერებისა, ერთი ხმის მფლობელია. გამონაკლისა უშიშროებს საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი: აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთსა და რუსეთის ფედერაციას მსოფლიო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას შეუძლიათ ვეტოს უფლების გამოყენება. გაეროს წესდება განსაზღვრავს ორგანიზაციის მანდატს, მისი წევრების უფლებებსა და მოვალეობებს, ორგანიზაციის სტრუქტურას და პროცედურას. წესდება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ახდენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპების კოდიფიკაციას, როგორებიცაა ერთა (ერთა სახელმწიფოთა) თანასწორობა და საერთაშორისო სისტემაში შეიარაღებულ ძალთა გამოუყენებლობა. წესდების ხელმოწერით სახელმწიფო აღიარებს საკუთარ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას იღებს ამ აქტით დაკისრებული უფლებების განხორციელებაზე. გაეროს მიზანია: დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება; ხალხთა თვითგამორკვევისა და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერთა შორის; გააღრმაოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული სახის საერთაშორისო პრობ-

ლემების გადასაწყვეტად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განვითარების მიზნით; გახდეს საერთაშორისო ცენტრი ამ მიზნების შესათანხმებლად და განსახორციელებლად. დასახულიამოცანების განხორციელებისას ორგანიზაციისა და მისი თითოეული წევრისთვის ძირითადია შემდეგი პრინციპები: ორგანიზაციის წევრთა სუვერენული თანასწორობა; ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება; საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დასაცავად საერთაშორისო დაცების მშვიდობიანი გზით მოწერიგება; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; საერთაშორისო უსრიერთობებში ძალით მუქარისგან თავის შეკავება; გაერთოსთვის წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებაში დახმარება და თავის შეკავება იმ სახელმწიფოთა მხარდაჭერისგან, რომელთა წინააღმდეგაც გაერო, წესდებიდანვე გამომდინარე, პრევენციული ხასიათის იძულებით ღონისძიებებს ახორციელებს. გ. სოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული, რუსული, ჩინური და ესპანური. მოგვიანებით დაემატა არაბული ენა, როგორც გვნერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოსა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ოფიციალური ენა. გაეროს ექვსი ძირითადი ორგანოსგან შედგება. ამასთან, იგი მოიცავს 15 სპეციალიზებულ სააგენტოს, რამდენიმე პროგრამასა და ორგანიზაციას. მისი ძირითადი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, სამეურვეო საბჭო და სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი. შტაბბინა მდებარეობს აშშ-ში, ნიუიორკში.

## გავლენის სფეროები

გავლენის სფეროებად დაყოფა საერთაშორისო პოლიტიკის ჩვეულებრივი პრაქტიკა. ეს არის რეგიონები, რომელზეც სხვა სახელმწიფოს კონტროლის პრეტენზია აქვს. მათგან ხშირად კონტროლის ან პასუხისმგებლობის სფეროსაც უწოდებენ.

## **გამალებული შეიარაღება**

დაპირისპირებულ აქტორებს შორის მიმდინარე შეჯიბრი საკუთარი შეიარაღების გაზრდის მიზნით. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის მიმდინარე გამალებული შეიარაღების შეჯიბრის პროცესი.

## **განიარაღება**

ეს არის პროცესი რომლის მიზანია საყოველთაო და სრული განიარაღება, რაც გულისხმობს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დაშლას, სამხედრო წარმოებათა გაუქმებას, ყველა სახეობის იარაღის წარმოების შეწყვეტასა და არსებულის განადგურებას. ანუ სახელმწიფის ძალის სხმევა გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად, საბრძოლო საშუალებათა შეზღუდვისა და ლიკვიდაციის მიზნით. პროცესის მასშტაბების მიხედვით იგი შეიძლება იყოს რეგიონული და გლობალური, სუბიექტთა მიხედვით - ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი. ის შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან სრული, ეხებოდეს იარაღის ცალკეულ სახეობებს ან მთელ შეიარაღებას და ა.შ.

## **გეოეკონომიკის განვითარების აღტალი**

გეოეკონომიკის კონცეფციის აღტალი შ.ატალი მიიჩნევს, რომ პოსტბიპოლარულ პერიოდში გეოპოლიტიკა გეოეკონომიკით შეიცვალა და იგი საერთაშორისო სისტემის მთავარი მოდელია. გეოეკონომიკა განისაზღვრება როგორც გეოპოლიტიკის განსაკუთრებული ვერსია, რომელიც პრიორიტეტულად მიიჩნევს არა გეოგრაფიულ, კულტურულ, ეთნიკურ და ა.შ. ფაქტორებს, არამედ სივრცესთან დაკავშირებულ წმინდა ეკონომიკურ რეალობებს.

## **გეოპოლიტიკა**

ტერმინი „გეოპოლიტიკა“ პირველად იხმარა შვედმა მეცნიერმა რუდოლფ ჩელენგმა XXს-ის დასაწყისში. იგი აცხადებდა, რომ გეომანიისათვის აუცილებელია მისი შესაფერისი სასიცოცხლო სივრცის შექმნა, რაც მეზობელი პატარ-პატარა და სუსტი

ერების ხარჯზე უნდა მოხდეს. **გეოპოლიტიკა** არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში - გეოგრაფიული ფაქტორის როლს და მის გავლენას ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე. გეოპოლიტიკის, როგორც საგარეო პოლიტიკური პრაქტიკის, მთავარი მიზანია სახელმწიფოს გეოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ე.ი. გეოპოლიტიკის მთავარი მიზანი - ეს არის ნებისმიერი ქვეყნის გეოსტრატეგიის შემუშავება. გეოპოლოტიკური მიღვომის სინთეზური შესწავლა გულისხმობს ნებისმიერი ქვეყნის ან რეგიონის გეოგრაფიულ, სოციალ-პოლიტიკურ, სამხედრო, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და ქვეყნის სხვა სიძლიერის განმასაზღვრელ ფაქტორთა კომბინირებულ შესწავლას და შეფასებას. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასებისას უდიდესი ყურადღება ექცევა როგორც გეოგრაფიულ ფაქტორს, ასევე ეკონომიკურ და სტრატეგიულ პოზიციებს, ქვეყნის წარსულს, მის მეზობელთან ამ ქვეყნის ნებისმიერ ურთიერთობას, მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონში არსებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას. ნებისმიერი ქვეყნის გეოპოლიტიკური სიმძლავრეების ძირითადი კრიტერიუმებია: ტერიტორიის ზედაპირი, საზღვრების ბუნება, ზღვაზე გასასვლელი, მოსახლეობის რაოდენობა, ბუნებრივი რესურსები, ფინანსური სიძლიერე, ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონე, ეთნიკური ერთგვაროვნება, სოციალური ინტეგრაციის დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, ეროვნული სული.

## გლობალიზაცია

სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის შემცირების პროცესი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს და საზოგადოებებისა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას გამოხატავს. გლობალიზაციის თეორია ამტიკიცებს, თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოების მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში თანდათანობით კლებულობს სხვა საერთაშორისო აქტორების სასარგებლოდ. გლობალიზაცია ოთხი პარალელური პროცესისაგან შედგება: ინტერნაციონ-

ალიზაცია (სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა), ლიბერალიზაცია (სახელმწიფოს როლის შემცირება), ვესტერნიზაცია (მთელს მსოფლიოში დასავლური ფასეულობებისა და კულტურის გავრცელება და აღიარება) და დეტერიტორიალიზაცია (სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის კლება. გლობალიზაცია ერთობლივად მიმდინარეობს პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ და კულტურის სფეროებში. პოლიტიკაში გლობალიზაცია გამოიხატება საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ზრდით, საერთაშორისო პოლიტიკის ახალი, გლობალური პრობლემების გაჩენითა და მათი ერთობლივი გადაწყვეტით (გარემოს დაცვა, საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება). ეკონომიკური კუთხის გლობალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი საერთაშორისო ფინანსების განვითარება და თითოეული ქვეყნის მოქალაქეებზე საერთაშორისო კერძო კაპიტალის გავლენის ზრდაა. სოციალური კუთხით, გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების (განსაკუთრებით, ტრადიციული საზოგადოების) ტრანსფორმაციაზე. კულტურის თვალსაზრისით, გლობალიზაციის თეორეტიკოსები აღნიშნავენ მსოფლიოში კულტურული ერთგვარობის ზრდას, საერთო პოპულარული მასობრივი კულტურის ჩასახვასა და განვითარებას.

## გლობალიზაცია

მსოფლიო პოლიტიკის სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი პარადიგმული მიდგომა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებს გლობალურ ხასიათს ანიჭებს. გლობალისტები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკის უკეთ გაგებისათვის აუცილებელია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესების ერთიანი სურათის წარმოდგენა. საერთაშორისო სისტემის განმსაზღვრელ თვისებად გლობალისტები კაპიტალისტურ ურთიერთობებს ასახელებენ. მათი აზრით, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა სახელმწიფოთა ქმედებების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, ანუ სახელმწიფოების საერთაშორისო პოლიტიკაში არა დამოუკიდებელ, არამედ დამოკიდებულ ცვლადებს წარმოადგენს. გლობალიზმი ყურა-

დღებას აქცევს დომინირების მექანიზმების შესწავლას და განვითარებულ „ჩრდილოეთსა“ დაგანვითარებად „სამხრეთს“ შორის დაქვემდებარება-დომინირების ურთიერთობების კვლევითაა დაკავებული. გლობალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვანი ადგილს ეკონომიკურ ფაქტორებს ანიჭებს. გლობალისტები სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების მარქსისტულ ხედვას ანიჭებენ უპირატესობას. გლობალიზმი რეალისტური და პლურარისტური (რაციონალისტური) მიდგომებისაგან განსხვავდება. მარტინ უაიტი გლობალიზმს რევოლუციონიზმად მოიხსენიებს.

## გლობალური პრობლემები

პრობლემების ის ჯგუფი, რომლებიც საერთოა კაცობრიობისათვის და მათი გადაჭრა მოითხოვს ყველა სახელმწიფოს ერთობლივ ძალის სხმევას. გლობალური პრობლემების მიეკუთვნება ბირთვული ომის საფრთხე, განიარაღების, საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა, სოციალური, ეკონომიკური, რესუსრების, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, საერთაშორისო ტერორიზმის, ნარკობიზნესის და ა.შ. პრობლემები.

## დაპალი პოლიტიკა

ის მოიცავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის იმ საკითხებს, რომლებიც ეროვნული ინტერესების მნიშვნელოვან პრობლემას არ წარმოადგენს და რომლის განხორციელება ბიუროკრატიის პრეროგატივა .

## დაზვრვა

ეს ტერმინი განიმარტება, როგორც ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის პროცესი. ის წარმოადგენს სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის სხვა მოქმედი პირების შესაძლებლობებისა და განზრახვების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ითვალისწინებს. დაზვერვა შეიძლება იყოს ღია (მასმედიისა და დიპლომატიური წყაროების გამოყენებით) ან ფარული, სტრატეგიული ან არასტრატეგიული. დაზვე-

რვის მთავარი მიზანია მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და შეფასება სახელმწიფოს ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების გასაადვილებლად. დაზვერვის უკავშირდება კონტრდაზვერვა (სხვათა მიერ ინფორმაციის შეგროვებისათვის ხელის შეშლა), გაცურება (დეზინფორმაციის გავრცელება) და ფარული ქმედებები (ძირგამომთხრელი საქმიანობა). დაზვერვის შემადგენელი ნაწილებია ტექნიკური დაზვერვა და ადამიანური დაზვერვა (ჯაშუშობა).

## დამოუკიდებელ სახლებიცომთა თანახმობრობა

მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1991 რუსეთის ფედერაციის, ბელორუსისა და უკრაინის მიერ ქ. მინსკში (ბელორუსი) ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. იმავე წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში ხელმოწერილ იქნა ოქმი, რომლითაც სომხეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შეუერთდნენ ბელოვეჟის შეთანხმებას; მიღებულ იქნა, აგრეთვე, ალმა-ათის დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „დსთ არ არის არც სახელმწიფო, არც ზესა-ხელმწიფოებრივი წარმონაქმნი“ და რომ იგი ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს; რომ დსთ არც საერთაშორისო ორგანიზაციაა, იგი სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია, რომლის ორგანოებს მაკოორდინირებელი ფუნქციები აქვთ და მათი გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილისათვის, რომელიც ეთანხმება მას. დსთ-ის მიზანია: პოლიტიკის, ეკონომიკის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის, მეცნიერებისა და განათლების, კულტურის, ვაჭრობისა და სხვა დარგებში, სახელმწიფოებსა და ხალხთა შორის თანასწორი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა, ურთიერთვალდებულების კეთილსინდისიერი და განუხრელად შესრულება. ორგანიზაციის ძირითადი ორგანოებია: სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, მთავრობათა მეთაურების საბჭო, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი, სასაზღვრო ჯარების სარდლების საბჭო, აღმასრულებელი სამდივნო,

ეკონომიკური სასამართლო, საპარლამენტთაშორისო ასამბლეა. დასთ-ის სახელმწიფოთაშორისი ორგანოების ოფიციალური ადგილსამყოფელია ქ. მინსკი.

## დასავლეთ ევროული კავშირი

**ლევ შეიქმნა** 1948 წელს, თუმცა ხანგრძლივი დროის განვალობაში მას არ გააჩნდა რეალური უფლებამოსილება და საშუალებები უზრუნველყო მისი ნევრების უსაფრთხოება. მხოლოდ 1984 წლის თებერვალში, საფრანგეთის ინიციატვით განიხილეს დეკ-ის განახლების შესახებ მემორანდუმი. მას მხარი დაუჭირა დეკ-ის ყველა ნევრმა სახელმწიფომ. 1984 წლის ოქტომბერში რომში შედგა დეკ-ის ნევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. მიღებულ დეკლარაციაში სახელმწიფოებმა გამოიქვეს მზადყოფნა დეკ-ის რეფორმირების შესახებ. აღნიშნულმა შეხვედრამ ხელი შეუწყო დეკ-ის სამხედრო საქმიანობის გააქტიურებას 1987-1988 წწ. ირან-ერაყის კონფლიქტის მოწესრიგების და 1990-1991 წწ. სპარსეთის ყურე-ში ომის დროს. თუმცა, დასავლეთ ევროპული სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაცია XX ს-ის 80-იანი წლების ბოლომდე მაინც მიმდინარეობდა ნატოს ევროკავუფის განმტკიცების მიმართულებით. 1992 წლის ევროკავშირის მასატრიხტის სამიტზე დეკ-ის ნევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს გადწყვეტილება დეკ-ის, როგორც ევროკავშირის თავდაცვით კომიტეტად ეტაპობრივ გარდაქმნაზე და ატლანტიკური ალიანსის ევროპული სტრუქტურების განმტკიცების შესახებ. დეკ-ის, როგორც ევროკავშირის თავდაცვით კომპონენტად გარდაქმნისათვის განისაზღვრა ოპერაციების ის სამი ტიპი, რომელიც შეეძლო დეკ-ის განხორციელებინა: ჰუმანიტარული ოპერაციები, მშვიდობის მხარდაჭერი ან მშვიდობის და სამაშველო-საევაკუაციო აქციები. ასეთი ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელი იყო გაეროს უშიშროების საბჭოს და ნატოს ნებართვა. მაშინ, კონცეპტუალურად, დეკ-ი ნატოზე წინ იდგა, რადგან ნატო იმ დროისათვის მხოლოდ თავდაცვის ორგანიზაცია იყო და მის ფუნქციებში არ შედიოდა სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების ჩატარება. 1996 წლის 21 მარტს, ბრიუსელში დეკ-ის გენერალურმა მდივანმა უზე კუტილეირომ წამოაყენა წინადადება დეკ-ის ევროკავშირთან შერწყმის პროცესის აქტივიზაციის შესახებ.

ორი ორგანიზაციის ინტეგრაციის პირველი ეტაპი გულისხმობდა დეკ-ის ფაქტობრივ დამორჩილებას ევროკავშირისადმი ოფიციალური პროცედურების შემუშავების გზით, რომელიც საშუალებას მისცემდა ევროკავშირს მიეცა დეკ-სთვის თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში შეესრულებინა გარკვეული ამოცანები. დეკ-ის როგორც დამოუკიდებლი ევროპული სტრუქტურის არსებობას ფაქტობრივად წერტილი დაუსვა ამ-სტერდამის ხელშეკრულებამ, სადაც ის გამოცხადა ევროკავშირის განვითარების განუყოფლე ნაწილად. 2000 წლის 13 ნოემბერს მარსელში დეკ-ის მინისტრების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ორგანიზაციის ეტაპობრივი რეფორმირების შესახებ და მისი უფლებამოსილების გადაცემის შესახებ ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურებისა და სააგენტოებისათვის სსუპ-ის და უსტპ-ის ფარგლებში. მაგ., 2002 წლის 1 იანვარს დეკ-ის უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტი და სატელიტური ცენტრი შევიდა ევროკავშირის დაქვემდებარებაში და გახდა ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტი და ევროკავშირის სატელიტური ცენტრი. 2010 წლის მარტში უკვე გამოცხადდა დეკ-ის გაუქმების გეგმის შესახებ. მან არსებობა შეწყვიტა იმავე წლის 2011 წლის 30 ივნისს. დეკ-ის გაუქმება ლოგიკური შედეგი იყო იმ პროცესის, რომელიც 1992 წლიდან ვითარდებოდა ევროკავშირის-დეკის და ნატოს ურთიერთობების ქრილში. უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში დეკ-ი თავდაპირველად განიხილებოდა როგორც შუალედური რგოლი ევროკავშირისა და ნატოს შორის. ერთის მხრივ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ევროკავშირს ჩამოყალიბების სტადიაზე არ ჰქონდა შესაბამისი სტრუქტურები და რესურსები დამოუკიდებლად უზრუნველეყო საკუთარი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განხორციელება, საკუთრივ არც დეკ-ს ჰქონდა იმის რესურსები, რომ მას სრულად აეღო პასუხუსმგებლობა ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეალიზაციაზე. მას ამისთვის ნატოს რესურსები სჭირდებოდა. მეორეს მხრივ, ევროკავშირის მიერ დამოუკიდებელი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფორმირებამ კიდევ უფრო მეტად

შეაშფოთა ტრანსატლანტიკური ურთიერთობების მომხრეები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ევროკავშირის აღნიშნული პოლიტიკა ამ ურთიერთობებს დიდი დარტყმას მიაყენებდა. აღნიშნული უკმაყოფილების შესუსტებას ისახავდა რეალურად მიზნად ის, რომ დეკ-ი გამოცხადდა როგორც ნატოს ძალისმიერი ევროპული განზომილება. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ კოლიზიების შედეგი იყო 1992 წლიდან 2011 წლამდე ევროკავშირს-დექს და ნატოს შორის პარტნიორობის განვითარების, თუმცა მეტოქეობის ნიშნები ამ ხნის განვალობაშიც შეინიშნებოდა. დეკ-ის გაუქმება უკვე საკუთრივ ევროკავშირ-ნატოს პარტნიორობას აყენებს დღის წესრიგში და მასში აუცილებლად გამოჩნდება მეტოქეობის ასპექტებიც, რაც დამოკიდებული იქნება გლობალური პოლიტიკის განვითარების ტენდენციებსა და ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პერსპექტივაზე.

## დაკვეთებარება

ტერმინი დაქვემდებარება საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის კვლევის სფეროს განეკუთვნება. ის არის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ერთ-ერთი მიმართულების - გლობალიზმის ნაწილი, რომელიც განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენის მიზეზებს განვითარებული ქვეყნების მხრიდან დომინირებაში ეძიებს. ამ თეორიის კვლევის მთავარ საგანს მდიდარ ჩრდილოეთსა და შედარებით ჩამორჩენილ სამხრეთს შორის ძალაუფლების ასიმეტრია წარმოადგენს.

## დაშინება

საერთაშორისო პოლიტიკაში სამხედრო ძალის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც მოწინააღმდეგისათვის სამაგიეროს გადახდისა და მისი დასჯის მუქარას გულისხმობს.

## დამოშობება

საერთაშორისო პოლიტიკაში აღნიშნულმა ტერმინმა დიდი ქვეყნების მიერ პატარა ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის

მსხვერპლად შენირვის სინონიმის მნიშვნელობა შეიძინა. ტერმინი პირველად გამოიყენეს 1938 წლის მიუნხენის გარიგების აღსანიშნავად, რაც გერმანიისათვის გარკვეული უფლების მიცემას გულისხმობდა აღმოსავლეთ და ცენტრალული ევროპის ნაწილის ოკუპაციის საკითხში.

## და ზაქტო და იურე

გვიჩვენებს პოლიტიკური სუბიექტის ლეგალურ ან არა ლეგალურ მდგომარეობას.

## დეკოლებიზაცია

პროცესი გულისხმობს დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მიერ წარსულში დაპყრობილი ტერიტორიებისა და ხალხების კონტროლის დასრულებას.

## დემოკრატიული გავრცელება

საერთაშორისო პოლიტიკაში დემოკრატიული მშვიდობის თეორია თანამედროვე ლიბერალური და ნეოლიბერალური თეორიების ერთ-ერთი საფუძველია. ამ თეორიის მიხედვით, დემოკრატიულ მშვიდობას სახელმწიფოების ინსტიტუციური და ნორმატიული შეზღუდვები განაპირობებს. დემოკრატიულ ქვეყნები ცდილობენ თავიდან აირიდონ შეიარაღებული კონფლიქტები, რომელსაც სახელმწიფოსათვის უბედურება მოაქვს. ამავე დროს დემოკრატიული ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ნორმატიული შეზღუდვა სხვა დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან ანალოგიურ ქმედებას განაპირობებს.

## დესტაბილიზაცია

სახელმწიფოს მიერ სამხედრო, დიპლომატიური, ეკონომიკური და სოციალური ხერხებით განხორციელებული საგარეო პოლიტიკური მოქმედება სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის მიზანია სამიზნე ქვეყნის პოლიტიკური სისტემის, ძირითადად კი საგარეო პოლიტიკის საფუძვლიანი ცვლილება.

## **დიდი სახელმწიფო პრეზიდენტი**

ხშირად მათ ზესახელმწიფოებსაც უწოდებენ, რომელთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი სხვა სახელმწიფოებს ანალოგიურ პოტენციალს ბევრად აღემატება და დიდი და მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკაზე.

## **დიპლომატია**

მასში ხშირად მოიაზრებენ ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობებსაც. რეალურად კი ეს არის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს მიზნების შესრულებას ემსახურება. მისი მთავარი ფუნქცია სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობის დაახლოება.

## **დოკუმენტის თეორია**

განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა ეს ტერმინი ცივი ომის პერიოდში, როცა სოციალიზმის გავრცელების შედეგად ბევრი სახელმწიფო ექცევდა საპჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ. ეს არის ერთიმეორის მიყოლებით წაქცეული დომინოს ქვებისა და სახელმწიფოების მეტაფორული ანალოგია.

## **დოკტორია**

პოლიტიკაში ეს არის სახელმძღვანელო თეორიული, სამეცნიერო, ფილოსოფიური ან პოლიტიკური პრინციპების ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ოფიციალურ ხედებს და ასახულია ქვეყნის პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, მოკავშირები და საფრთხეები, დასახული ამოცანების გადაწყვეტის გზები.

## **ეპოკავშირი**

სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება, რომელიც შეიქმნა 1992 წელს ევროპის თანამეგობრობის ბაზაზე. ევროკავშირში შედის 28 წევრი სახელმწიფო; ევროკავშირის მიზნები და ამოცანებია: ევროპის ხალხთა მჭიდრო კავშირის ჩამოყალიბება, მათი ეკონ-

ომიკური და სოციალური პროგრესი და ინტეგრაცია; საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ერთიანი საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის განხორციელება; იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროში თანამშრომლობის განვითარება; საერთო მონაპოვართა შენარჩუნება და გამრავლება. ევროკავშირის ძირითადი ორგანოებია: ევროპის საბჭო, ევროპის პარლამენტი, ევროპის კავშირის საბჭო, ევროპის კომისია, ევროპის სასამართლო.

## ევროპეთიზმი

გულისხმობს, რომ ევროპა თავისი კულტურით, ფასეულობებითა და ღირებულებებითი წარმოადგენს მსოფლიოს ცენტრს.

## ეთიკა

პოლიტიკაში ეთიკა არის პოლიტიკურ მეცნიერებათა შემადგენელი ნაწილი, რომელიც ცდილობს განსაზღვროს პოლიტიკური ქცევის მორალური მხარე. შესაბამისად პოლიტიკური ეთიკისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შედეგებს.

## ეთნიკური კონცლიატი

დაპირისპირება სახელმწიფოს ხელისუფლებისა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ თუ ეთნიკურ, ენობრივ ჯგუფს შორის იგი ხშირად პროვოცირებულია ჯგუფის სათავეში მდგარი პოლიტიკური ელიტის მიერ, რომელსაც მორალურ, პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებასაც კი უწევენ მეზობელი ქვეყნების ოფიციალური თუ არაოფიციალური ძალები, რაც მიზნად ისახავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფას. ასეთი სახის ეთნიკური კონფლიქტს რომელსაც სეპარატისტები ნათლავენ უფრო მრავალრიცხოვან ეთნიკურ ერთობასა და პატარა ეთნიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირებად, სინამდვილეში ეთნოპოლიტიკურ ხასიათს ატარებს, რადგან მისი ძირითადი მხარეებია სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება და სეპარატისტული ძალები. ეთნიკური კონფლიქტი ხშირად გადაიზრდება არასაერთამორისო

შეიარაღებულ კონფლიქტებში, რომლის დროს ეთნიკური წმენდა აღინიშნება. ეთნიკური კონფლიქტი რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოს აგრძესიული, შეუწყნარებელი, დისკრიმინაციული პოლიტიკით რაც სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამ-ეგობრობის მწვავე რააქციას იწვევს. ამ ტიპის კონფლიქტების სიმრავლით ხასიათდება აფრიკის რეგიონი. ეთნიკური კონფლიქტი წარმოიშობა მეზობლად მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, რომლებიც ტრადიციული შეუწყნარებლობით გამოირჩევიან და დაუწყდობელი ხოცვა-ულეტით ცდილობენ პრობლემის გადაწყვეტას, რასაც მილიონობით, ასეულობით ადამიანი ემსხვერ-პლება (მაგ., აფრიკის ქვეყნებში). ეთნიკური კონფლიქტი რომელიც წარმოიშობა ორ ან რამდენიმე ეთნიკურ ჯგუფს შორის, ყოფით ნიადაგზე წარმოშობილი დაპირისპირება (მინის ნაკვე-თების გაყოფა, ტყის გამოყენება და ა.შ.). როგორც წესი, ასეთი ეთნიკური კონფლიქტი ხანგრძლივი არ არის და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების ეფექტურობაზეა დამოკიდებული.

## ეთნიკური ნაციონალიზაცია

ნაციონალიზმის ერთ—ერთი ძირითადი სახეობა, რომელიც ძირითად ღირებულებად აღიარებს ერს. ამ უკანასკნელს ის განსაზღვრავს, როგორც საერთო წინაპრებისა და საერთო წარმოშობის ადამიანთა ერთობას. ხშირად ის შოვინიზმისა და ნაციზმის სახით ვლინდება.

## ეთნიკური რეაცია

სუბიექტების ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ გეოგრაფიული რეგიონიდან განდევნოს სხვა ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობა ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით. ეთნიკური წმენდის პრაქტიკა გენოციდის სახეს იღებს.

## ეკონომიკა

სოციალური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის **საქონლისა** და მომსახურების **წარმოებას**, განაწილებას, გაცვლასა და **მოხ-**

**მარებას.** ეკონომიკა ზოგადად მოიაზრება, როგორც: საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი, საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა; მოცემული ქვეყნის ან მისი ნაწილის მეურნეობა, წარმოების დარგებისა და სახეობების ჩათვლით; მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის საწარმოო ურთიერთობებს და მათ სპეციფიურ შხარეებს საზოგადოებრივი წარმოებისა და გაცვლის განსაზღვრულ სფეროში.

## ეკონომიკური საძირკოები

საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ეკონომიკური საშუალებების (ინსტრუმენტების) ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობების აქტორის ან აქტორთა ჯგუფის მიერ სხვა აქტორის ან აქტორების დასჯას მათ ხელთ არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების მეშვეობით. ეკონომიკური სანქციებს მიეკუთვნება ემბარგო, ბიოკოტი, ბლოკადა, კვოტები, ტარიფები, შავი სია, წინასწარი შესყიდვა და ა.შ.

## ეგბარგი

ეკონომიკური სანქციის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ გატარებულ სადამსჯელო ღონისძიებას, რომლის მიხედვითაც იკრძალება გარკვეული ნაწარმით ვაჭრობა.

## ერთეული ვატოს სისტემა

მ. კაპლანის ტიპოლოგიის მიხედვით საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი ჰიპოთეზური ტიპი. სადაც ყველა სახელმწიფო – აბსოლუტურად ინდივიდუალურად მოქმედებს და თანაბარძალიანია.

## ერთეული ტერიტორიული ფინანსები

ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული, მყარი ერთიანობა საერთო ტერიტორიით, ენით, ეკონომიკური თანაცხოვრებითა და კულტურულ-ფინანსურული ნიშნებით.

## **ერი-სახელმწიფო**

საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორი. ახალ პერიოდში ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა, როცა ეთნოკულტურული ერთობები ერებად ჩამოყალიბდნენ და ერთიან პოლიტიკურ ერთობად ყოფნის აუცილებლობა გააცნობიერეს. ერი-სახელმწიფოს მნიშვნელობისათვის განმსაზღვრელი აზრი აქვს ორი ტერმინის, ერისა და სახელმწიფოს შეკავშირებელ ერთობად და სახელმწიფოს საფუძვლად და შემაკავშირებელ ერთობად ერი წარმოჩინდა.

## **ეროვნულ-განათლავისუფლებელი პრამლა**

დაპყრობილი და კოლონიზიებული ხალხების ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს უხციების ბატონობის მოსპობას და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას, კოლონიური ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ლაგვიდაციას, ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების განხორციელებას.

## **ეროვნულ-განათლავისუფლებელი მოქარება**

დაპყრობილი და კოლონიზიებული ხალხების ბრძოლა, მიაღწიონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და კულტურულ იდენტიფიკაციას.

## **ეროვნულ თვითგამორკვევა**

ეს არის ხალხის უფლება, თვითონ განსაზღვროს საკუთარი ბედი ანუ ჰქონდეს უფლება ან მისწრაფება, თვითონ მართოს საკუთარი თავი და განსაზღვროს იმ ტერიტორიის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი, რომელიც უკავია.

## **ეროვნულ იდენტიტეიტი**

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად ეროვნული უსაფრთხოებისა და გადარჩენის პრინციპები უდევს.

## **ეროვნულ უსაფრთხოება**

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. ეროვნულ უსაფრთხოება მოიცავს: სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, ინფორმაციულ, გარემოს დაცვისა და არასამხედრო კომპონენტებს. ეროვნული უსაფრთხოება გამოხატავს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებებს და პრინციპებს. იგი არის მთავარი საფუძველი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში კონკრეტული პროგრამების და საორგანიზაციო დოკუმენტების შემუშავებისათვის.

## **ეროვნული უსაფრთხოების დოკტრინა**

პოლიტიკის ძირითადი კანონი, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს ტერიტორიულ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ეროვნულ უსაფრთხოებას აბსოლუტური პრიორიტეტი აქვს პოლიტიკის სხვა საკითხებთან შედარებით

## **ეროვნული უშიშროება**

სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიის შესახებ ოფიციალურად მიღებული შეხედულებების ერთობლიობა იმ მიზნით რომ არსებული რესუსრების და შესაძლებლობის გათვალისწინებით უზრუნველყოს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს უსაფრთხოება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, საინფორმაციო და სხვა სახის საგარეო და საშინაო საფრთხეებისაგან.

## **ეუთო**

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, უფრო ადრე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი - უსაფრთხოების რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა გაეროს წესდების VIII თავის შესაბამისად ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და

კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: შეიარაღების კონტროლი, გაეროს პრევენციული დიპლომატია, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომები, ადამიანის უფლებები, არჩევნების მონიტორინგ, ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოება. ჰელსინკის თაბირის დასკვნით აქტს 1975 წელს ხელი მოაწერა 35-მა სახელმწიფომ. ამჟამად 55 სახელმწიფო მასში გაერთიანებული. ეუთოს მიზნებია: ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, აგრეთვე ხანგრძლივი მმგიდობის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნა; საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვისათვის ზრუნვა; ევროპული უსაფრთხოების განუყოფლობის აღიარება, ასევე წევრ-სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარების სტიმულირება; მშვიდობისა და უსაფრთხოების მჭიდრო ურთიერთკავშირის აღიარება როგორც ევროპის, ისე მსოფლიო მასშტაბით; საკუთარი წვლილის შეტანა ადამიანის უფლებათა დაცვაში, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესსა და ყველა ერის კეთილდღეობაში; ეუთოს მთავარი ორგანოსა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების სათათბირო, რომელიც თავის სესიაზე ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება. სათათბირო განსაზღვრავს ეუთოს პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს. პოლიტიკური კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებათა მიმღები მთავარი ორგანო მუდმივი საბჭო. მისი წევრები არიან ეუთო-ს წევრ სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები) ვენაში, რომლებიც ყოველკვირეულად იკრიბებიან ეუთო-ს კომპეტენციაში შემავალი ყველა საკითხის განსახილვებად და მათ შესახებ გადაწყვეტილებათა მისაღებად. მთავარ საბჭოს, რომელსაც ეუთო-ს წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკური ხელმძღვანელები ან სხვა მაღალი თანამდებობს პირები ესწრებიან, ინვევენ პერიოდული პოლიტიკური თათბირებისათვის. მთავარ საბჭოში წელიწადში ერთხელ იკრიბება ქ. პრაღაში, როგორც ეკონომიკური ფორუმი. ეუთო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები წელიწადგამოშვებით მართავენ „მინისტრიალს“, „ხოლო „მინისტრიალთა“ შორის პერიოდში სახელმწიფოს ან მთავრობის

მეთაურები რამდენიმე წელიწადში ერთხელ იკრიბებიან უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ანუ სამიტზე. ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს ეკასრება პასუხისმგებლობა აღმასრულებელი საქმიანობისათის. თავმჯდომარე 6 თვეში ერთხელ იცვლება. ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს, შესაბამისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, საქმიანობაში დახმარებას უწევენ წინა და მომდევნო თავმჯდომარები და მით იქმნება ე.წ. „ტროიკა“. მოქმედ თავმჯდომარეს აგრეთვე შეუძლია დანიშნოს პირადი წარმომადგენლები, რომლებსაც ავალებს კონკრეტულ საკითხებზე ან სიტუაციებზე მუშაობას. ეუთო-ს გენერალური მდივანი, რომლის ადგილსამყოფელია ქ. ვენა (ავსტრია), ფუნქციებს ახორციელებს როგორც ეუთო-ს მიზნების განხორციელებისათვის იღებს. გენერალური მდივნის კომპეტენციაში შედის აგრეთვე ეუთო-ს სტრუქტურებისა და ოპერაციების წარმართვა. სამდივნოში (მისი ადგილსამყოფელია ქ. ვენა) შედის: გენერალური მდივნის ოფისი, კონფლიქტების თავიდან აცილებს ცენტრი, ადმინისტრაციისა და გარემოს დაცვის სფეროში ეუთო-ს საქმიანობის კოორდინაციორი. სამდივნოს პრალის ოფისი ახორციელებს დოკუმენტების უსაფრთხოებასა და საინფორმაციო ფუნქციებს. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც ეუთო-ს ყველა წევრი სახელმწიფოს 300-ზე მეტი პარლამენტარისაგან შედგება, ატარებს ყოველწლიურ სესიას ივლისში, ხოლო მთელი წლის განმავლობაში აწყობს აგრეთვე სხვადასხვა შეხვედრასა და იღებს რეზოლუციებსა და რეკომენდაციებს ეუთო-ს საქმიანობის შესაბამისად. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არჩევნების მონიტორინგშიც. ასამბლეის სამდივნოს ადგილსამყოფელია კონკრეტული (დანი). ორგანიზაციას აქვს შერიგებისა და არბიტრაჟის სასამართლო ქ. უენევაში. ეუთო-ს წევრი სახელმწიფოებია: ავსტრია, აზერბაიჯანი, აღმანეთი, აშშ, ანდორა, ბელგია, ბელორუსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, თურქმენეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია იუგოსლავია, კანადა, კვიბრისი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მაკედონია, მალტა, მოლდოვა, მონაკო, ნიდრელანდი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტ-

უგალია, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, სან-მარინო, საფრანგეთი, საქართველო, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია, შვედეთი, ჩეხეთი, ხორვატია და ვატიკანი.

## ეპსტრემიზმი

ერთგულება უკიდურეს შეხედულებებზე და პოლიტიკური პრობლემების უკიდურესი გზებითა და საშუალებებით გადაჭრისაკენ მიღრეკიდება. პოლიტიკაში ის გულისხმობს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწვევად ყველაზე რადიკალური საშუალებების - ძალადობის, ტერორის გამოყენებას. ექსტრემიზმის ძირითადი წყაროა პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების დეფორმაცია, არასწორი ნაციონალური და ეკონომიკური პოლიტიკა.

## ვენის სისტემა

იგივე ევროპული კონცერტის სისტემა. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, რომელიც ევროპაში ჩამოყალიბდა ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ. ვენაში შეკრებილმა ევროპულმა სახელმწიფოებამ იმსჯელეს ომის შემდგომი ევროპის მოწყობის შესახებ და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებების სახელწოდებითა ცნობილი.

## ვენსალ-ვაშიგთონის სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა რომელიც მოქმედებდა მე-20 ს-ის 20-30-იან წლებში. მის შექმნას საფუძვლად დაედო პარიზის და ვაშინგტონის კონფერენციები, რომლებმაც განსაზღვრეს ომისშემდგომი სიტუაციის მოწესრიგება მსოფლიოში.

## ვესტალის სისტემა

სახელმწიფოთაშორისი სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა ვესტფალის 1648 წლის ზავის შედეგად, რომლის შედეგად ევროპაში დასრულდა ოცდაათწლიანი ომი და წერტილი დაუსვა ჰასბურგერების მიერ ზეეროვნული იმპერიის შექმნის ამბიციას. ვესტ-

ფალის ზავით აღიარებულ იქნა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პრინციპებზე დამყარებული საერთაშორისო სისტემა.

### 30. პეტო

იგივე აკრძალვა. საერთაშორისო ასპარეზზე ვეტოს უფლება აქვთ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს (აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს).

### 31. იტი

ამა თუ იმ სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის ან დიპლომატიური წარმომადგენლის სტუმრობა მეორე ქვეყნის ოფიციალურ პირთან, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან საქმიან წევრებთან. ტერმინი ასევე გამოიყენება ერთი ქვეყნის სამხედრო—საზღვაო ესკადრის მეორე ქვეყნის პორტში შესვლის აღსანიშნავად, როდესაც ამგვარი სტუმრობას ორ ქვეყანას შორის მეგორბული ურთოერთობების მანიფესტაცია უდევს საფუძვლად.

### ზავი

ძალადობრივი კონფლიქტის დროებითი შეწყვეტა. ის. შეიძლება შეიძლება წარმოადგენდეს უფრო გრძელვადიანი სამშვიდობო შეთანხმების წინა ეტაპს.

### თავდაუსცველობის პარტი

ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის შეთანხმება, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთიმეორის წინააღმდეგ მტრულ საბრძოლო მოქმედებებზე უარის თქმას ითვალისწინებს.

### თავდაცვა

საერთაშორისო პოლიტიკაში სამხედრო ძალის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც თავდასხმისგან ღირებულებების დაცვას ითვალისწინებს. თავდაცვის მთავარ საშუალებას სამხედრო ძალა წარმოადგენს, რომელსაც სახელმწიფო ან აღიანსი ძალადობრივი შეტევის მოსაგერიებლად იყენებს. თავდაცვის მთავარი მიზანი თავდამსხმელის დანაკარგების გაზრდაა, რათა მან საკუთარი

მიზნების განხორციელება ვეღარ შეძლოს. იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო ძალა მოწინააღმდეგისთვის სამაგიროს გადახდისა და მისი დასჯის მუქარას გულისხმობს, ესაა სამხედრო ძალის მეორე ფუნქცია - დაშინება.

## თვითგამორკვევა

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომელიც ყოველ ხალხს, ეთნოს ანიჭებს უფლებას დამოუკიდებლად და თავისუფლად განსაზღვროს თავისი ბედი, მათ შორის თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა.

## იგარიბია

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლება ვრცელდება მმართველი ძალისგან კულტურულად ან ეთნიკურად განსხვებულ, როგორც წესი დაპყრობილ, ტერიტორიებზე და მოსახლეობებზე. სხვა, უფრო ფორმალური განმარტებით იმპერია არის მონარქია, რომლის მონარქი ატარებსიმპერატორის ტიტულს.

იმპერიისთვის, როგორც სახელმწიფოებრივი ფორმისათვის დამახასიათებელია მონარქის მმართველობის მბრძანებლური ხასიათი, მეტროპოლიის, ცენტრის, გაბატონებული ერის პრივილეგიებული მდგომარეობა კოლონიებთან, პროვინციებთან, სხვა ეროვნების ნარმომადგენლებთან შედარებით, რომელთაც ხშირად უარს უცხადებენ თვითგამორკვევისა და თვითმმართველობის უფლებაზე; მკაცრი და უკიდურესი ცენტრალიზაცია, მპერიის იდეოლოგიის ოფიციალური ქადაგება, რომელიც შოვინიზმს, ნაციონალიზმსა და სხვ. ემყარება. იმპერიის ყველაზე უფრო ფართო გაგება გამოიყენებოდა რომის, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და სხვ. კოლონიალური სახელმწიფოების აღსანიშნავად.

## იგარიბიალიზმი

სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს სხვა სახელმწიფოების და ხალხების დაპყრობის, მათი საკუთარი გავლენის ქვეშ მოთავსების მცდელობაში, საკუთარი ინტერესების შესაბამისად. იმპერიალისტური პოლიტიკა შეიძლება

ხორციელდებოდეს პირდაპირ - ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, ან ირიბად - ეკონომიკური და პოლიტიკური ხერხების გამოყენებით ეს არის ჰეგემონური სახელმწიფოს დაქვემდებარებულ ქვეყნებთან ან ხალხებთან ურთიერთობების სისტემა. იმპერიალისტური პოლიტიკის მიზანი ჰეგემონი სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა ძალაუფლების გავრცელება და მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეულის შექმნაა.

## ინტეგრაცია

სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესი პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნის მიზნით. ის ხებაყოფლობითი პროცესია და კონსესუს ემყარება. მას ახასიათებს ისეთი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და პოლიტიკური პროცესების არსებობა, რომლებიც თავიანთი ხასიათით უფრო ზემოვნულია, ვიდრე სახელმწიფოთაშორის. ინტეგრაციის პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია უსაფრთხოების, თანამეგობრობისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არსებობა. ტრადიციული (ევროპული) სქემით ინტეგრაციის საფეხურებია საბაზო კავშირის, საერთო ბაზრის, საერთო პოლიტიკური სტრუქტურებისა და იდენტურობის შექმნა. ინტეგრაცია, როგორც წესი, რეგიონალიზმის საფუძველზე ვითარდება. დღევანდელ მსოფლიოში რეგიონული ინტეგრაციის ყველაზე წარმატებული მაგალითი ევროპის კავშირია.

## ინტერვენცია

ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში (ტერიტორიის დასაპყრობად, რეზიმის შესაცვლელად, რევოლუციური ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და სხვ.). განასხვავებენ შეიარაღებულ, ეკონომიკურ, დაბლომატიურ ინტერვენციის, რომელთაგან ყველაზე საშიში ფორმაა შეიარაღებული, ანუ სამხედრო ინტერვენცია - იგი აგრესიის აქტს წარმოადგენს და სამხედრო დანაშაულად ითვლება.

## **06ტერთაციონალური**

საერთაშორისო პოლიტიკაში მოიცავს შეხედულებების ფართო სპექტრს. მაგ., ლიბერალიზმი, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების საყოველთაო გავრცელებას გულისხმობს, მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც მსოფლიო კომუნიზმის იდეას ქადაგებდა და პაციფიზმი. მათი მიზანია, სახელმწიფო ცენტრული პოლიტიკა შეიცვალოს და წინა პლანზე წამოვიდეს უნივერსალური ინტერესები.

## **კაპიტულაცია**

ამა თუ იმ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა, როცა მთელი შეიარაღება და ინფრასტრუქტურა მოწინააღმდეგის ხელში გადადის, ხოლო შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა სამხედრო ტყვეების სტატუსს იღებს.

## **კოალიცია**

საერთო მიზნის მისაღწევად შექმნილი (სახელმწიფოების, დაჯგუფებების, პარტიებისა და სხვ.) გაერთიანება, კავშირი. საერთაშორისო ურთიერთობებში აღიანსის სახესხვაობაა, რომლის შექმნის ხელშეკრულებას ოთხი ან მეტი სახელმწიფო აწერს ხელს. კოალიციები დიდი კრიზისების პერიოდში იქმნება და, როგორც წესი, კრიზისის დასრულებისთანავე იშლება.

## **კოლექტიური უსაფრთხოება**

ეს არის საერთაშორისო უსაფრთხოების უნივერსალური სისტემის მოდელი, რომლის მიხედვით სახელმწიფოებს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ომის თავიდან აცილება შეუძლიათ არა ძალთა წონასწორობის, არამედ ინტერესთა თახვედრით, რომელიც მიიღწევა საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნით. ამ ინსტიტუტების მეშვეობით სახელმწიფოებს შეუძლიათ ერთობლივ ქმედებებს მიმართონ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომლებიც სხვების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრებიან.

## **კოლონია**

საერთაშორისო პოლიტიკაში ეს იყო ტერიტორია საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ხელისუფლების გარეშე, რომელიც დაპყრობილია იმპერიალისტური სახელმწიფოს (მეტროპოლიის) მიერ. ეკროპელების მიერ დაწყებულმა კოლონიების დაარსება ახალ პერიოდში კოლონიალიზმის ჩამოყალიბება განაპირობა.

## **კოლონიალიზმი**

იმპერიალიზმის სახეობა, რომელიც გულისხმობს უცხო მიწაზე დასახლებასა და ადგილობრივი მოსახლეობისა და ტერიტორიის დამორჩილებას. დამოკიდებულება მეტროპოლიას და კოლონიას შორის, როგორც წესი, ექსპლუატატორულია. კოლონიალიზმი ევროპის სახელმწიფოების სახელთან არის დაკავშირებული და მთელი დანარჩენი მსოფლიო, აზიის რამდენიმე და აფრიკის ორი (ეთიოპია და ლიბერია) ქვეყნის გარდა, სხვადასხვა დროს ევროპის ქვეყნების კოლონია იყო. მთავარი კოლონიური სახელმწიფოები იყვნენ: პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია, განსაკუთრებით კი დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, კოლონიებს ფლობდნენ აგრეთვე ბელგია, გერმანია, იტალია, აშშ და იაპონია.

## **კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია**

საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი თეორია. ამ თეორიის თანახმად თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილის როლი განუხრელად მცირდება; სახელმწიფო არ არის არც უნიტარული (ერთგვაროვანი) ერთეული და არც ძირითადი სუბიექტი თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; უფრო მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა მოძრაობათა და პიროვნებათა როლი; ასევე სამხედრო ძლიერება აღარ წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობათა გამსაზღვრელ ფაქტორს და იგი თანდათან იცვლება ეკონომიკური ძლიერების ფაქტორით; სახელმწიფოს ძირითადი

მიზანი მატერიალური კეთილდღეობაა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნული ინტერესები, კერძოდ, ეკონომიკური კეთილდღეობის მიზნითსახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სუვერენიტეტი და დათმოს ზოგიერთი ინტერესი (ამის მაგალითია ევროკავშირის ქვეყნები); რაც მთავარია, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტები ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებული და ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ქმნიან ერთ მთლიანობას, რომლის შენარჩუნება ყველა მათგანის ძირითადი ინტერესია; სწორედ ამიტომ სახელმწიფოთა ურთიერთდაბახლოება შეუქცევადი პროცესია, რაც მომავალში სულ უფრო შეამცირებს ეროვნული სახელმწიფოს როლს და გაზრდის საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლს, მოხდება, საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბება და სრულყოფა, ხოლო ძალისა და უსაფრთხოების პრობლემები პლურალისტურ საფუძველზე გადაიჭრება.

## კომპრომისი

პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით მხარეები შეთანხმებას აღწევენ ურთიერთდათმობის ხარჯზე..

## კონსენსუსი

გადაწყვეტილებების ან დოკუმენტების მომზადებისა და მიღების სახე, რომლის დროსაც განსახილველი დებულება მიიღება არა კენჭისყრით, არამედ შეთანხმებით.

## კონფედერაცია

ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ისეთი კავშირი, როდესაც მასში შემავალი სახელმწიფოები სრული სახით ინარჩუნებენ საკუთარ სუვერენიტეტს დასაერთაშორისო სამართლის სუბიექტებად რჩებიან. კონფედერაცია თვითონაც მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში როგორც სუბიექტი და აქვს საერთაშორისო სამართალსუბიექტის ნიშნები, მაგრამ შეზღუდული სახით. კონფედერაციის ჩამოყალიბება ფორმდება

საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც კონფედერაციას გადაეცემა უფლებამოსილება გარკვეულ სფეროებში. ჩევულებრივ, ეს სფეროებია: ომი და ზავი, საგარეო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალები, შესაძლოა მათ განეკუთვნებოდეს აგრეთვე საფინანსო პოლიტიკა და ა.შ.

## კონფლიქტი

არის უთანხმოება, განხეთქილება, შეჯახება დაპირისპირებულ მხარეებს შორის. კონფლიქტი შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანი. შინაგანია კონფლიქტი, როდესაც ადამიანში ორი საპირისპირო - განცდა ან შეხედულება ებრძვის ერთმანეთს. გარეგანი კონფლიქტი კი ის არის, როდესაც ორი პიროვნება ან პიროვნება-და პიროვნებათა ჯვაფი უპირისპირდება ერთმანეთს. ამასთანავე კონფლიქტი შეიძლება იყოს: დროებითი, ხანმოკლე. ის-გადაჭრილად ითვლება, როცა ერთ-ერთი მხარე იმარჯვებს ან მარცხდება. მარადიული, დაუსრულებელი. ამ დროს ერთ-ერთი მხარე იმა რჯვებს ან მარცხდება, მაგრამ კონფლიქტი - გადაუჭრელი რჩება.

## კონფლიქტოლოგია

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ერთ-ერთი ქვედარგი, რომელიც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ძალადობრივი კონფლიქტების მიმდინარეობისა და მათი მოგვარების პრობლემებს შეისწავლის. კონფლიქტოლოგია საერთაშორისო ურთიერთობების პლურალისტურ პარადიგმას ეყრდნობა და სახელმწიფოს კონფლიქტის უმთავრეს მოქმედ პირად არ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, კონფლიქტოლოგის კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები და ომები.

## კონფერტის სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობების თანამშრომლობითი სისტემა, რომელიც ევროპაში 1815 წელს „ევროპის კონცერტის“ (Concert of Europe) სახელწიფროდებით ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით

ჩამოყალიბდა და რომელიც ისტორიაში წინასწარი განზრახვით შექმნილ პირველ უსაფრთხოების საერთაშორისო რეჟიმს წარმოადგენდა. ეს სისტემა არ იყო ფორმალურად ინსტიტუციონალიზებული, მაგრამ მას პქონდა საერთაშორისო ურთიერთობების მართვის მიზანი და ამ მიზნის მისაღწევი საშუალებები. კონცერტის სისტემის მთავარი მიზანი იყო ძალთა წონასწორობის მართვა იმგვარად, რომ ნაპოლეონის შემდგომი ხანის ევროპაში მშვიდობა შენარჩუნებულიყო. ევროპის კონცერტს ძალთა წონასწორობის დაცვის ორი საშუალება პქონდა – საერთაშორისო კონფერენციები და ე.წ. კომპენსაციის პრინციპი. კომპენსაციის პრინციპი გულისხმობდა ძალთა წონასწორობის ხელოვნურად შენარჩუნებას, ანუ როდესაც ერთ-ერთი ევროპული ქვეყანა ევროპაში ან მის ფარგლებს გარეთ ტერიტორიას (ან კოლონიას) ჩაიგდებდა ხელში, კომპენსაციის პრინციპის მიხედვით, ამ შენაძენის ტოლფასი ტერიტორია სხესაც უნდა მიეღოთ. საერთაშორისო კონფერენციები ევროპის კონცერტის მიერ ძალთა წონასწორობის შენარჩუნების მეორე ინსტრუმენტი იყო. საერთაშორისო კონფერენციები დროდადრო ევროპის ქვეყნების შორის სადაც საკითხების მოსაგვარებლად იმართებოდა.

### კორდომინუმი

კორდომინუმი პოლიტიკური და სამართლებრივი მმართველობის იშვიათი ფორმაა და ჩვეულებრივ, ხანგრძლივობით არ გამოირჩევა (მაგ., საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის კ. ახალი პეპრიდის კუნძულებზე, დიდი ბრიტანეთისა და ეგვიპტის კ. სუდანში და ა.შ.). ეს არის გარკვეული ტერიტორიის ერთობლივი მფლობელობა ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ეს ტერიტორია ამ სახელმწიფოების სუვერენული სივრცის ნაწილს შეადგენს. კორდომინუმის მონაწილე სახელმწიფოთა სუვერენული მფლობელობის ურთიერთშეფარდება მოცემულ ტერიტორიაზე გამიჯნულია მათ შორის გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებით.

## **კოსმოაოლიტიზმი**

მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფობას და ეროვნულ სუვერენიტეტს, ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნის, „მსოფლიო მოქალაქეობის“ დაწესების იდეას.

## **პრიზისი**

უცცრად წარმოშობილი მასობრივი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელია დიდი ძალისხმევის (სიძნელეების გადაღახვის) გარესე. კრიზისი საერთაშორისო ურთიერთობებში გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა შორის ურთიერთდამოკიდებულების მოკლე პერიოდს, რომელიც მასში ჩაბმული და დაინტერესებული ქვეყნების მომავალი ურთიერთობებისთვის გადამწყვეტ მომენტად აღიქმება. საერთაშორისო კრიზისის ანალიზისას ორი მიდგომა გამოიყენება. პირველი მათგანი კრიზისის დროს გადაწყვეტილების მიმღები ცალკეული პირების მიერ ვითარების აღქმას, მათ მოტივებსა და ქცევას აქცევს ყურადღებას. მეორე მიდგომა საერთაშორისო კრიზისს სტრუქტურული თვალსაზრისით განიხილავს და ყურადღებას მონაწილე მხარეთა (პირითადად სახელმწიფოების) ურთიერთქმედებაზე და ამ ურთიერთქმედების შედეგებზე ამახვილებს. პირველ შემთხვევაში გამოიყენება ბიორაკრატიული პოლიტიკის ანალიზის, მეორე შემთხვევაში ფორმალური მოდელირების მეთოდები.

## **პრიტიკული თეორია**

საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული თეორიების წინააღმდეგ შექმნილი ლიტერატურა, რომელშიც უარყოფილია საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების ცალკე დარგის არსებობა და მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზი უფრო ფართო სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ფილოსოფიურ კონტექსტში უნდა მოხდეს და არა ერთი დისციპლინის ფარგლებში.

## **ლავილირება**

როულ პოლიტიკურ ვითარებაში ოსტატური მანევრირება, წინააღმდეგობის გადალახვის უნარი. ტერმინი აგრეთვე გული-სხმობს პოლიტიკოსის თვისებას, თავი აარიდოს საპირისპირო პოლიტიკურ ძალასთან შეჯახებებს, კონფრონტაციულ მოქმედებებს.

## **მარქსიზმი**

ფილოსოფიურ, ეკონომიკურ და სოციალურ – პოლიტიკურ შეხედულებათა სისტემა, რომლის ფუძემდებლები არიან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. მოიცავს ფილოსოფიურ მატერიალიზმსა და დიალექტიკას, ისტორიის მატერიალისტურ გაგებას (საზოგადოებრივი ფორმაციების თეორია), კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას, ეკონომიკური კანონების დაფუძნებას (ზედმეტი ღირებულების თეორია და ა.შ.), კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარული რევოლუციის, კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის თეორიას. მარქსიზმი ცნობილია, როგორც საზოგადოებისადმი სისტემური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. სოციალური სისტემის მისეული მიდელი განიხილება როგორც სოციალურ ურთიერთობათა სისტემა, რომლის საფუძველიც ეკონომიკური ბაზისია, ხოლო მთელი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენი ემყარება ძალაუფლებასა და ძალადობას. მარქსი ასევე გვევლინება სოციალურ განვითარებაში კონფლიქტოლოგიური პარადიგმის ერთ – ერთ პიონერად. კონფლიქტის საფუძვლად მას მიაჩინა ანტაგონიზმი. წარმოებით ურთიერთობებსა და საწარმოო ძალებს, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმებს შორის, რომლის კლასობრივი გამოხატულებაა კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის არსებული ანტაგონიზმი, ხოლო მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად. ეს უკვე ნიშნავს პროლეტარიატის გადაქცევას „კლასიდან თავისთავად“ „კლასად თავისთვის“. ე.ნ. გარდამავალი პერიოდის შემდეგ კი ნავარ-

აუდევი იყო კომუნისტური საზოგადოების, როგორც ახალი საზოგადოებრივ –ეკონომიკური ფორმაციის დამყარება.

## მასოპრივი განადგურების იარაღი

კრებსითი ტერმინი, რომელიც გამოხატავს სამი კლასის იარაღთა სისტემას: ატომურს (ბირთვულს), ბიოლოგიურსა და ქიმიურს. ამ იარაღის კლასების ინგლისური დასახელების აბრევიატურიდან გამომდინარე, ზოგჯერ გამოიყენება აღნიშვნა ABC. მასობრივი განადგურების იარაღი განსხვავდება ჩვეულებრივი იარაღისაგან როგორც შეუდარებლად მეტი გამანადგურებელი ძალით, ისე იმ ზიანის მასშტაბით, რაც მათი გამოყენების თანამდევ და შემდგომ მოვლენებს მოაქვს.

## მაღალი პოლიტიკა

ის მოიცავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის იმ საკითხებს, რომლებიც ეროვნული ინტერესების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ის სახელმწიფოს გადარჩენასა და გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებს ითვალისწინებს.

## მერკანტილიზმი

XV ს–დან ევროპაში გავრცელებული ეკონომიკური თეორია, რომელიც საზოგადოების კეთლიდღეობის საფუძვლად თვლიდა არა მრეწველობის განვითარებას, არამედ სასაქონლო და ფულადი საშუალებების ბრუნვას. მერკანტილისტური დოქტრინა მიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობის იმგვარ რეგულირებას, როდესაც საქონლის გატანა სჭარბობს მის შემოტანას, ხოლო ქვეყანაში შემოტანილი დოვლათი გროვდება ფულადი კაპიტალის სახით.

## მესამე სამყარო

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დეკოლონიზებული ქვეყნების, ჩვეულებრივ, სუსტი და ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულისახელმწიფოების კრებითი სახელმიზება. ტერმინი მოიცავს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის, ახლო

აღმოსავლეთის, აზისა და აფრიკის ქვეყნებს. ეს ცნება გაჩნდა ცივი ომის პერიოდში, რათა ზემოთ ნახსენები ქვეყნები, ერთი მხრივ, განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან („პირველი სამყარო“), ხოლო მეორე მხრივ, კომუნისტური ბლოკისაგან („მეორე სამყარო“) განესხვავებინათ. მესამე სამყაროს ქვეყნებს ახასიათებს არამყარი უსაფრთხოება, ეთნიკური სიჭრელე, სასაზღვრო დავები, არასტაბილური პოლიტიკური სისტემები, პატრიმონიალური ან ნეოპატ-რიმონიალური მმართველი რეჟიმები, კოლონიური და ექსპ-ორტზე ორიენტირებული ეკონომიკები, რომლებშიც სოფლის მეურნეობა და მოპოვებითი დარგები ჭარბობს. საერთაშორისო ურთიერთობებში მესამე სამყაროს ქვეყნები თავიანთი მიზნების მიღწევას ტრადიციულად ზესახელმწიფოებთან აღიანსების, საერთაშორისო კარტელების (მაგ., ოპეკი), მიუმხრობლობის მოძრაობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (უპირველეს ყოვლისა, გაეროს) გამოყენებით ცდილობდნენ. ცივი ომის დასრულების შემდეგ მესამე სამყაროს ცნებამ ზუსტი მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობებში კვლავაც გამოიყენება. საკუთრივ მესამე სამყარო მეტად არაერთგვაროვანია, რაც ცნების ანალიტიკურ ფასეულობას ეჭვქვეშ აყენებს.

## მთავრობა

ხშირად მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების სინონიმად იხმარება, განსხვავებით „ხელისუფლებისაგან“ როცა გული-სხმობენ ხელისუფლების სამივე შტოს.

## მილიტარიზაცია

პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების მაქსიმალურ ზრდას, გამაღებულ შეიარაღებას, ეკონომიკისა და იდეოლოგიის დაქვემდებარებას სამხედრო მიზნებისათვის და სამოქალაქო ცხოვრებაზე სამხედრო კონტროლს.

## **მიუხსერობლობა (ენიჭრალიზაცია)**

ამ ტერმონში იგულისხმება იმ სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომლებსაც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ძირითად პრინციპად ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს. ნეიტრალური სახელმწიფოსაგან განსხვავებით, მიუმზრობელი ქვეყნები ომს, როგორც პოლიტიკურ საშუალებას (კერძოდ, ანტიიმპერიალისტურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომებს), არ უარყოფდნენ და შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევდნენ. ამ ქვეყნების ძირითად მიზანს შეადგენდა ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობათა განვითარება და როგორც სსრკ-ისგან, ისე აშშ-ისაგან მაქსიმალური დახმარების მიღება ცივი მისი დამთავრების შემდეგ მის მოძრაობის მიზანი და საჭიროება საკმაოდ ბუნდოვანია.

## **მსოფლიო ომი**

ომის განსაკუთრებული სახე, როცა შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩაბმული აღმოჩნდება ყველა დიდი სახელმწიფო და მათი სატელიტები მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი, როგორც წესი, წამყვან სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობის გამწვავებაა, რაც არსებულ ძალთა წონასწორობის დარღვევისა და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისკენ არის მიმართული.

## **მსოფლიო პოლიტიკა//გლობალური პოლიტიკა**

ეს ტერმინი ზოგჯერ საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო პოლიტიკის სინონიმად გამოიყენება. მაგრამ უფრო ხშირად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოებსა და სამთავრობო ორგანიზაციებს არ მიიჩნევს დომინანტად და იმავე დონის აქტორებად განიხილავს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა არასახელმწიფო სუბიექტებს. ბევრი მკვლევრის აზრით, გლობალიზაციის ეპოქაში, როცა განუხვრელად მცირდება სახელმწიფოს როლი და იზრდება არასახელმწიფოებრივი აქტორების მნიშვნელობა, აშკარაა საერ-

თაშორისო ურთიერთობების (პოლიტიკის) მსოფლიო პოლიტიკად გარდაქმნის პროცესი. ამგვარად, მსოფლიო პოლიტიკა საერთაშორისო პოლიტიკისაგან განსხვავებით, არ არის სახელმწიფო ცენტრალური მიდგომა. იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საერთაშორისო ურთიერთობები და არ დაიყვანება სახელმწიფოთაშორის კავშირებზე. არის სხვა მოსაზრებებიც (ძირითადად რუსეთში), რომლის მიხედვითაც, მსოფლიო პოლიტიკა არის სახელმწიფოთა მოღვაწეობა და ურთიერთობა საერთაშორისო არენაზე, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის არსებული რეალური კავშირების სისტემაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოგვიდგება როგორც ამ ურთიერთქმედების შედეგი, ხოლო, მეორე მხრივ, ის სივრცე და გარემო, სადაც ხორციელდება მსოფლიო პოლიტიკა.

## მსოფლიო საზოგადოება

არსებული საერთაშორისო სისტემის ალტერნატიული ხედვა, რომელიც უარყოფს ძალაუფლებას, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების წარმართველ იდეას. მსოფლიო საზოგადოების თეორია აქცენტს აკეთებს არა ძალაუფლებასა და კონფლიქტზე, არამედ თანამშრომლობაზე.

## მსოფლიო სისტემები

საერთაშორისო ურთიერთობების გლობალისტური ხედვის სკოლა, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს კაპიტალისტური ეკონომიკის ჭრილში განიხილავს. მსოფლიო სისტემების თეორეტიკოსები არა მხოლოდ ჩრდილოეთსა და სამხრეთსა შორის არათანაბარი განვითარების მიზეზებს შეისწავლიან, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით უთანასწორობის მიზეზების დადგენას ცდილობენ. გარდა ამისა, მსოფლიო სისტემების სკოლა საერთაშორისო ურთიერთობების გაგებასა და ახსნას მსოფლიო ეკონომიკის ისტორიული განვითარების ანალიზის საფუძველზე ანარმოებს. ამ სკოლის თვასაზრისით, ცალკეულ რეგიონებში შექმნილ ვითარებაში გარკვევა მთელი მსოფლიოს განვითარების ისტორიული ანალიზის გარეშე შეუძლებელია. მსოფლიო სისტემების თეორიის ყველაზე

ცნობილმა წარმომადგენელმა, იმანუელ ვალერსტაინმა გლობალური განვითარების ისტორიულად დასაბუთებული თეორია შექმნა, რომელიც აანალიზებს პერიოდს ევროპაში კაპიტალიზმის წარმოშობიდან დღემდე. კაპიტალისტური მსოფლიო სისტემა მოიცავს ბირთვს (ისტორიულად მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებულ წარმოშობა), წახევრადპერიფერიასა და პერიფერიას (ნედლეულის მწარმოებელ ისტორიულად ჩამორჩენილ მხარეებს). ვალერსტაინის აზრით, შრომის არსებული საერთაშორისო დანაწილება არათუ არ ამცირებს ამ უთანასწორობას, არამედ, პირიქით, აღრმავებს მას.

## მულტილატერალიზაცია

სამი ან მეტი სახელმწიფოს კოორდინირებული ურთიერთობა გარკვეული პრინციპების შესაბამისად. როგორც პოლიტიკა, მულტილატერალიზმი გულისხმობს სახელმწიფოს წინასწარებასაზღვრულ მოქმედებას სხვა სახელმწიფოებთან ერთად დასახული მიზნის მისაღწევად. ხშირად მულტილატერალიზმი ინსტიტუციონალურად ფორმდება და რეგიონული ან საერთაშორისო ორგანიზაციის სახით წარმოჩინდება, მაგრამ ასევე ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა მულტილატერალიზმი ინსტიტუციონალურ სახეს არ იღებს.

## მულტიპლარობა

საერთაშორისო სისტემის ტიპი, როცა სისტემაში დომინირებს სამი და მეტი პოლუსი. მათი გამოყოფის საფუძველია აქტორების ან აქტორთა ჯგუფის შესაძლებლობა და პოტენციური ძალა, როგორც პოლუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. მულტიპლარური სისტემები იყო ვესტფალიის სისტემა. ვენის სისტემა, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა.

## მუნდიალიზაცია

(მუნდიალ — მსოფლიო) არის მსოფლიო მოძრაობა, რომელიც გამორიცხავს ლიბერალიზაციას. მუნდიალიზაცია მოიცავს სპეციფიური ტერიტორიის (მაგ. ქალაქის, დაბის, ქვეყნის) —

დეკლარაციას მსოფლიო ტერიტორიად, რომლის უფლება-მოვალეობანიც მსოფლიო მასშტაბის იქნება.

## ოპუპაცია

რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავება. ოკუპაცია უნდა გაგმივნოთ ანექსიისაგან, რომელიც ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის სრულ ან ტერიტორიის ნაწილის ძალით მიერთებას გულისხმობს.

## ომი

ომი არის ორგანიზებული და ხშირად ხანგრძლივი კონფლიქტი სახელმწიფოებს ან სხვა მხარეებს შორის, რომელთა მიზანია ან სახელმწიფოს დაარსება/შენარჩუნება ან სხვა სახელმწიფოს ან რომელიმე ტერიტორიის კონტროლის ქვეშ აყვანა. ომისთვის დამახასიათებელია უკიდურესი აგრესიულობა, ეკნომიკის მოშლა და ადამიანთა დიდი რაოდენობით სიკვდილი. ომი შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც, წინასწარგანზრახული და ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი, პოლიტიკურ ერთობებს შორის, ამიტომ, ის ხშირად განიმარტება როგორც სახელმწიფო ძალადობა. ომის არ არსებობა იწოდება მშვიდობად. ომის წამოწყების მიზეზი შეიძლება გახდეს გადაუჭრელი საკითხები ეკონომიკურ, იდეოლოგიურ, ტერიტორიულ, რელიგიურ და ს ხვა სფეროებში. თავისი მასშტაბებით ომი შეიძლებ ა იყოს ლოკალური, რეგიონული, მსოფლიო. ომის ტიპებია კონვენციური, არაკონვენციური, სამოქალაქო, არაასიმეტრიული.

## პანაციონალიზაცია

ნაციონალიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც სხვა სახეობებისაგან განსხვავებით თავისი შინაარსით ტრანსნაციონალურია და მიზნად ისახავს ეთნიკურად, რასობრივად და რელიგიურად მონათესავე ხალხების პოლიტიკურ გაერთაინებას. პანაციონალიზმის ყველაზე გავრცელებული მაგალითებია პანამე-

რიკანიზმი, პანარაბიზმი, პანაფრიკანიზმი, პანთურქიზმი, პანისლამიზმი, პანგერმანიზმი, პანსლავიზმი, და სხვ.

## პარადიგმა

იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა. მის საფუძველზე განისაზღვრება არსებული ცოდნის მოცულობა, საკვლევი პრობლემის ბუნება, კვლევის შესაფერისი მეთოდების არჩევა, შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზები.

## პაციურიზმი

ომის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომლის წევრები გმობენ ყოველგვარ ძალადობას, უარყოფენ რა სამართლიან განმანათვი-სუფლებელი ბრძოლის გამართლებულობას. მათ სამშვიდობო მოლაპარაკებისა და მანიფესტაციების გზით ომის აღკვეთის სწამთ.

## პარიზერია

გამოხატავენ მესამე სამყაროს ანუ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც უპირისპირდებიან „ბირთვს“ - განვითარებულ ქვეყნებს. ბირთვი-პერიფერიის წინააღმდეგობა სხვაგვარად ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირებადაც აღიქმება. პერიფერიის ქვეყნებს ახასიათებთ განვითარების დაბალი დონე, უმუშევრობა, მცირ ანაზღაურება, მოძველებული ტექნოლოგია, პოლიტიკური არასტაბილურობა და ა.შ.

## პლურალიზმი

ცხოვრების იდეური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ძირითადი პრინციპი, რომლის ფარგლებშიც დაშვებული, უზრუნველყოფილი და აღიარებულია სხვადასხვა იდეური, სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობის მრავლობითობა. პლურალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი პარადიგმული მიდგომაა, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის არსებით მოქმედ პირებად სახელმწიფოსთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციებსა და

ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც აღიარებს. ისინი ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებამ საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოების როლი შეამცირა. პლურალისტები ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო თანამშრომლობის შესწავლაზე, რადგან მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთდამოკიდებულება, ასევე გლობალური პრობლემები და გამოწვევები, მათ წინაარმდევ მოქმედება მოითხოვს და აჩენს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებას.

## პოლიტიკა

საზოგადოების და სახელმწიფოს მართვის ხელოვნება, საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობა და მისგან გამომდინარე მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოებს, ხალხებს, ერებს, სოციალურ ჯგუფებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან. შესაბამისად იგი პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებასა და პოლიტიკურ ძალაუფლებასთან არის დაკავშირებული. შეიძლება გამოვიყენოთ მისი შემადგენელი შემდეგი სტრუქტურული ელემენტები: ა) პოლიტიკური ინტერესები, მიზნები და მიზანდასახულებანი; ბ) პოლიტიკური კავშირები, მოქმედებები და ურთიერთობები; გ) საზოგადოების, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების პოლიტიკური ორგანიზაცია; დ) პოლიტიკური ცნობიერება, როგორც სუბიექტების მიერ თავიანთი პოლიტიკური ინტერესების გათვითცნობიერება; ე) პრაქტიკული პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია შემუშავებული პოლიტიკური ხაზის რეალიზაციისა და გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. პოლტიკა თავისი მოქმედების სფეროს მიხედვით იყოფა საშინაო (სახელმწიფოებრივ) და საგარეო (სახელმწიფოთაშორისო, საერთაშორისო, მსოფლიო) პოლტიკად.

## პოლიტიკური ეკონომიკა

არის ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი სახელწოდება, რომელიც ხმარებაში შემოიტანა ფრანგმა ეკონომისტმა ა. მონკურეტიენმა. შეისწავლის ეკონომიკური მოვლენების პოლიტიკურ საფუძვლებს ან მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ბაზრის ფუნქციონირებაზე. ანუ პოლიტიკური ეკონომიკა შეისწავლის პოლიტიკური მოვლენების ეკონომიკურ საფუძვლებს.

### **პოლიტიკური იდეალიზაცია**

საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში იგი არის ერთ-ერთი თეორია, რომლის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობებში განმსაზღვრელი ფაქტორებია საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო მორალი, ინტერესების თანხვედრა, ჰარმონიზაცია და ა. შ. აღნიშნული ფაქტორები საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისას დომინირებს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ძალა, ეროვნული ინტერესები, დამოუკიდებელი მოქმედება და სხვ. მათ აზრით სრულყოფილი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციების პირობებში საყოველთაო მშვიდობა და ურთიერთხელსაყრელი და მეგობრული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები გარანტირებულია. საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივა მსოფლიო მთავრობის შექმნაა, რაც თავისთავად ყველა საერთაშორისო პრობლემას გადაჭრის, რადგან მთელ მსოფლიოს ერთი ხელისუფლება ეყოლება.

### **პოლიტიკური რეალიზაცია**

საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია, რომლის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ძირითადი მამოძრავებელი იდეა-სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, განმსაზღვრელი ფაქტორი - ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური), ხოლო ძირითადი რეგულატორი - ძალთა წონასწორობა, რასაც ემორჩილება საერთაშორისო სამართალი

და მორალი. კლიკური პოლიტიკური რეალიზმის მიხედვით, ადამიანი ბუნებით აგრესიული და კონფლიქტური არსებაა, რომლის მიზანია სხვაზე უპირატესობის მოპოვება და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება. ამიტომ ომები და დაძაბულობა ჩვეულებრივი, სავსებით ბუნებრივი მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობებში. ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს მიაღწიოს, რაც სხვა ქვეყნების ხარჯზე შეიძლება მოხდეს და რისი ერთადერთი სშუალებაც ძალაა. ამიტომ საერთაშორისო სისტემაში ნებისმიერი სახელმწიფოს როლი და ადგილი ამ სახელმწიფოს სიძლიერეს შეესაბამება, ხოლო საერთო საერთაშორისო ურთიერთობათა ერთადერთი რეგულატორი და მომწესრიგებელი ძალთა ის წონასწორობაა, რომელიც დამყარებულია მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა შორის. საერთაშორისო მორალი მხოლოდ ასახავს წამყვან სახელმწიფოთა შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობასა და ძალთა წონასწორნობას.

## პოსტკოლონიალი სახელმიწოდებლის მიზანი

სხვაგვარად მათ განვითარებად ქვეყნებსაც უწოდებენ. ეს არის ხელახლა შექმნილი ეროვნული სახელმწიფო, რომელიც მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დეკოლონიზაციის შედეგად გაჩნდა. ამ ქვეყნების პოლიტიკურ მოწყობაში ბევრი ისეთი ნიშან-თვისება შეინიშნება, რომელიც კოლონიურ ქვეყნებს ახასიათებს.

## პოსტკოლონიალი სახელმიწოდებლის მიზანი

საერთაშორისო პოლიტიკის კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა. ეს თეორია ეფვის ქვეშ აყენებს სახელმწიფოების, როგორც აქტორების ცნებას. მატი აზრით სახელმწიფოების არ გააჩნიათ მატერიალური რეალობა; არამედ სახელმწიფოები “ფანგაზის ნაყოფია” რასაც მოქალაქეები და ექსპერტები ქმნიან, რათა გავიგოთ ინდივიდუალური პირების ქმედებები. სახელმწიფოების ქმედებებისა და პოლიტიკის შესახებ არსებული ისტორია სხვა არაფერია თუ არა ადამიანთა ფანგაზის “შედევრი”. პოსტმოდერნისტები გამოყოფენ რთული სტრუქტურის მქონე რეალობასა და გამოცდილებებს რაც რეალისტების მიერ

„შეთხზული” ობიექტების (სახელმწიფოების) ქვეშ იმაღლება. პოსტმოდერნისტები, ისეთი კონსტრუქციების როგორიცაა სახელმწიფოები და საერთაშორისო სისტემა, აგრეთვე, რეალისტების მიერ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ შექმნილი თეორიებისა და მსჯელობების (დისკურსებისა და ნერილობითი მასალების) განხილვით ცდილობენ მოახდინონ აღნიშნული კოსტრუქციების მრავალფეროვნების და მათში არსებული ნინააღმდეგობების წარმოჩენა. მათი მიზანია დაანგრიონ ის მოდელები რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს მარტივ ობიექტურ კატეგორიად წარმოაჩენენ. პოსტმოდერნისტების მტკიცებით საერთაშორისო ურთიერთობებს ქმნის გამოცდილებათა მრავალფეროვნება რაც არ საჭიროებს გამარტივებასა და კატეგორიზაციას.

## პოსტსაბჭოთა სიცოცე

ასევე ცნობილია როგორც ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკები, ანუ დამოუკიდებელი ქვეყნებია რომელებმაც დატოვეს საბჭოთა კავშირი 1991წელს მისი დაშლის დროს. პოსტსაბჭოთა ქვეყნები შემდეგ ხუთ ჯგუფად იყოფებიან. ისინი განეკუთვნებიან ამა თუ იმ ჯგუფს გეოგრაფიული მდებარეობის და კულტურული განვითარების მიხედვით. ბალტიისპირეთი: ესტონეთი, ლიტვა, ლატვია. ცენტრალური აზია: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქენეთი. სამხრეთი კავკასია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. აღმოსავლეთი ევროპა: უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, რუსეთი.

## პრაგმატიზმი

ჭეშმარიტებად აღიარებს იმას, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა და არა ობიექტურ ჭეშმარიტებას.

## პრავენციული დიალოგიათია

დიპლომატიური ქმედება, რომელიც წინასწარ ხორციელდება მოსალოდნელი კრიზისის თავიდან აცილების ანდა შეზღუდვის მიზნით. პრევენციული დაპლომატიის მაგალითია კოლექტიური უსაფრთხოება, სამშვიდობო ოპერაცია, ჰუმანიტარული

ინტერვენცია, კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა და მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებები.

### **პრევენციული ომი**

სამხედრო ძალის დროებითი უპირატესობის წარმატებით გამოყენების მიზნით განზრახ დაწყებული ომი. პრევენციული ომის დაწყების მთავარი მოტივია დასწრება, რათა უპირატესობა მონინააღმდეგებმ არ ჩაიგდოს ხელში. ის ეყრდნობა ვარაუდს, რომ ომი გარდაუვალია.

### **პროტექციონიზმი**

სახელმწიფოს მიერ შიდა ბაზრის იმპორტისაგან დაცვის პოკლიტიკა, რომელიც ამ მიზნით იყენებს ტარიფებს, კვოტებს, სუბსიდებსა და სხვა საშუალებებს.

### **რეგიონალური საერთაშორისო რეგიონიზაცია**

მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ცალკეული გეოგრაფიული რეგიონების სახელმწიფოებს მოიცავს (ევროპის საბჭო, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია და სხვ.). აუცილებელი არ არის, რომ რსო მოიცავდეს მთელ კონტინენტს ან რეგიონს, ის შეიძლება არსებობდეს რამდენიმე კონტინენტზე (ნატო, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა), ან კონტინენტის ნაწილში მდებარე სახელმწიფოებში. გაეროს წესდების თანახმად, დასაშვებია „რეგიონალურ შეთანხმებათა ან ორგანოების შექმნა გარკვეულ გაოგრაფიულ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით.“ ეს ორგანიზაციები გაეროს წესდების შესაბამისად უნდა მოქმედებდნენ. მათი წევრები უნდა ცდილობდნენ, რომ თავიანთი დავები რეგიონალური ორგანიზაციების მეშვეობით გადაწყვეტონ და მხოლოდ ყველა სხვა საშუალების ამონურვის შემდეგ ესა თუ ის დავა უნდა გადაეცეს გაეროს უშიშროების საბჭოს, თუ მანამდე თვითონ საბჭომ არ ჩათვალა საჭიროდ კონფლიქტში ჩარევა (52-ე მუხ.).) რეგიონალურ ორგანიზაციას უფლება არა აქვს, გამოიყენოს შეიარაღებული ძალა, თუ ამას უშიშროების საბჭო

არ მოითხოვს (53-ე მუხ.). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის წევრები სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული აგრესის ობიექტები გახდებიან, მათ უფლება აქვთ, ორგანიზაციის მთელი ძალები გამოიყენონ აგრესორის უკუსაგდებად, რის შესახებაც ატყობინებენ უშიშროების საბჭოს (51-ე, 53-ე, 54-ე მუხლები). ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნებიან ნატო, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრიკული კავშირი, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო. მშვიდობის, ხალხთა უშიშროებისა და ადმიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციების გარდა, არსებობს ეკონომიკური ხასიათის საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციებიც (მაგ.: შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თამამშრომლობის ორგანიზაცია და სხვ.)

## რეგიონალური

რეგიონების მიმართ შეხედულებებისა და იდეების კომპლექსი, რომელიც შეიძება არსებობდეს შიდა სახელმწიფოებრივ ან საერთაშორისო დონეზე. რეგიონალიზმი, როგორც პროცესი, შეიძლება გულისხმობს არაფორმალური კავშირებისა და ურთიერთქმედების გაზრდას. იგი უპირველესად ეკონომიკური აქტიურობიდან გამომდინარეობს, მაგრამ ასევე მოიცავს სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთკავშირს. რეგიონალიზმი ეს არის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი რეგიონული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია. რეგიონები, ძირითადად, გეოგრაფიული სიახლოვისა და სოციალური ერთგვარობის პრინციპებით განისაზღვრება. საერთაშორისო დონეზე იგი ეკონომიკური ეფექტურობის ზრდასთან და საერთო უსაფრთხოების მოთხოვნილებებთან ასოცირდება. რეგიონალიზმის ინსტიტუციური განხორციელების მაგალითებია ალანსები, საერთო ბაზრები და თავისუფალი ვაჭრობის ზონები. რეგიონალიზმის ზრდა მსოფლიოში, ერთი მხრივ, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შემცირებას იწვევს, მეორე მხრივ კი უსაფრთხოების, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და სხვა დარგებში უნივერსალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას უშლის ხელს. რეგიონული ბლოკებისა და დაჯგუფების ჩამოყალიბება

1945 წლის შემდეგ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა. დღეს მსოფლიო პოლიტიკაში რეგიონალიზმის მრავალი ნიმუში არსებობს, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ამერიკის, სამხრეთ-დასავლეთი აზიის, აფრიკისა თუ ევროპის ქვეყნები.

## რევაზიზა

ეს არის სწრაფვა ომში დამარცხებების შედეგების გადახედვისკენ. სიტყვა პირველად გაჩნდა 1870-იანი წელის საფრანგეთში, სადაც ის აღნიშნავდა 1871 წელს, გერმანიის სასარგებოლოდ დაკარგული ტერიტორიების, ელჩასის და ლოტარანგიის, დაბრუნებისკენ სწრაფვას. საბჭოთა პროპაგანდის ბოლო წლებში რევაზისტებს უფრო ხშირად უწოდებდნენ ძალებს დასავლეთ გერმანიაში, რომლებიც ცდილობდნენ მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაკარგული გერმანიის ტერიტორიების დაბრუნებას

## საგარეო პოლიტიკა

ეს არის ქვეყნის მიზნების ერთობლიობა, რომლითაც ის განსაზღვრავს მის ურთიერთობას მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. საგარეო პოლიტიკის მიზანი ასევე ქვეყნის ეროვნული ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოების, იდეოლოგიური მისწრაფებების და ეკონომიკური განვითარების დაცვა. ეს არის სახელმწიფოს მხრიდან სხვა სახელმწიფოებთან ქმედებებისა და უკუქმედებების ერთობლიობა, რომელიც შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო პროცესების გავლენით ყალიბდება. საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ისეთი შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორები, როგორიცაა ტერიტორიის სიდიდე, რესურსები, ეკონომიკის განვითარების ბაზა, ეკონომიკის განვითარების დონე, დემოგრაფიული ვითარება, იდეოლოგია და სხვა. საგარეო პოლიტიკის მიზნების შესასრულებლად სახელმწიფოს დაბლომატიური საშუალებების გარდა სამხედრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური ინსტრუმენტებიც აქვს. საერთაშორისო პოლიტიკისაგან განსხვავებით, რომელიც მოიცავს ყველა მონანილის ურთიერთქმედების საერთო სურათს, საგარეო პოლიტიკა განიხილება როგორც ერთი სუბიექტი მიერ

განხორციელებული ქმედება სხვა სუბიექტის მიმართ. ნებისმიერ ქვეყანას აქვს უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური მიზნები, რომელთა დასაცავად იგი მზადაა მიიღოს უკიდურესი ზომები. საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, წესისამებრ, სახელმწიფოს მეთაურის დონეზე ხდება.

## **საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები**

ეს არის იმ ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის საგარეო პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტებს მიეკუთვნება პროპაგანდა, დიპლომატია, ეკონომიკური სანქციები, ომი. საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და ეროვნული ინტერესების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა ინსტრუმენტი. მათგან უკანასკნელი - ომი - მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ისიც თავდაცვის მიზნით უნდა გამოიყენებოდეს. ეკონომიკურ სანქციებსაც ქვეყანა განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავს. საგარეო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად მშვიდობიან დროს დიპლომატია რჩება (ეკონომიკურიც). სახელმწიფოს დადებითი იმიჯის შესაქმნელად და განსამტკიცებლად ძალიან დიდი როლი ენიჭება პროპაგანდასაც.

## **საერთაშორისო კავშირები**

ალიანსის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც არაა გამყარებული სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულებით, არამედ წარმოადგენს ორმხრივი მოლოდინების ნაკრებს, რომ ორი ან მეტი სახელმწიფო ერთმანეთს დაეხმარება მესამე სახელმწიფოსთან დავის ან ომის შემთხვევაში. საერთაშორისო კავშირების შექმნის მიზეზებია: 1. პასუხი საგარეო საფრთხეზე; 2. სახელმწიფოთა იდეოლოგიური სოლიდარობა თუ სახლოვე; 3. უცხო სახელმწიფოს დახმარება; 4. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში „შეღწევა“ (მის საშინაო პოლიტიკურ სისტემაზე ზეგავლენა, მისი მანიპულირება)

## **საერთაშორისო კონფერენცია**

დროებითი საერთაშორისო ორგანო, რომელიც მოწვეულია გარკვეული საკითხების განსახილველად და შეთანხმებული გადაწყვეტილების მისაღებად. საერთაშორისო კონფერენციის აღსანიშნავად ზოგჯერ ტერმინი „საერთაშორისო თათბირიც“ გამოიყენება. საერთაშორისო კონფერენცია ენოდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების შეხვედრას ამა თუ იმ პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და სხვა საკითხების განხილვისათვის და მათ თაობაზე შეთანხმების მიღწევისათვის. საერთაშორისო კონფერენცია ხშირად ატარებს „კონგრესის“, „თათბირის“ ან სხვა სახელწოდებას. ამას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. კაცობრიობის განვითარების მანძილზე სახელმწიფოები იკრიბებოდნენ და იკრიბებიან კონფერენციებზე ამა თუ იმ საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად. საერთაშორისო კონფერენციებს პირობითად ყოფენ შემდეგ ძირითად ჯგუფებად: 1. საზავო კონფერენციები – შეხვედრები, რომელთა მიზანია ომის მდგომარეობის შეწყვეტის იურიდიული გაფორმება საზავო ხელშეკრულების დადებით; 2. პოლიტიკური კონფერენციები, რომელთაც იწვევენ მიმდინარე საჭირბოროტო საერთოშორისო პრობლემების განხილვისა და გადაწყვეტისათვის. 3. ეკონომიკური კონფერენციები, რომლებზეც განიხილავენ სახელმწიფოთა ურთიერთობებს ვაჭრობის, საფინანსო–საკრედიტო და სხვა საკითხებზე; 4. დიპლომატიური კონფერენციები, რომლებიც ეძღვნება სამართლის კოდი ფიკაციის საკითხებს სპეციალური სახის ხელშეკრულებათა და კონვენციების შემუშავებისა და მიღებისათვის.

## **საერთაშორისო კონფლიქტი**

საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავების უკიდურესი ფორმა, რასაც ზოგჯერ შეიარაღებული შეტაკება მოჰყვება. საერთაშორისო კონფლიქტი შეიძლება მოხდეს ორი ან მეტი

სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მეტროპოლიის შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაცებით. საერთაშორისო კონფლიქტის ნინაპირობაა პოლიტიკური კრიზისი მხარეებს შორის, რაც უკიდურესად ძაბავს სიტუაციას და ერთმანეთს უპირისპირებს როგორც პოლიტიკურ ელიტებს, ისე მასებს. კონფლიქტების რეგულირების ტრადიციული ფორმებია შეკავება და ძალთა წონასწორობა. საერთაშორისო კონფლიქტების ძირითადი სახეებია ტერიტორიული, რესურსული, ეთნიკური, ეკოლოგიური, იდეოლოგიური კონფლიქტები, რომლებიც უმთავრეს შემთხვევაში პოლიტიკური კონფლიქტის სახით ვლინდება, თუმცა არც თუ იშვითია მათი გამოვლენა ეკონომიკური და კულტურული კონფლიქტების ფორმებითაც.

## **საერთაშორისო მიზანები**

მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება სახელმწიფოებს შორის, რომელიც საგრძნობლად ცვლის განახლების საერთო სურათსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიულ, სოციალურ და რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას. საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური (მათ შორის ეთნიკური წმენდა და გენოციდი), ისე ეკონომიკური (მატერიალური პირობების გაუმჯობესება), რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვა. განხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციებს, ხოლო დროითი განზომილებით - მუდმივსა და დროებითს.

## **საერთაშორისო მორალი**

ეს არის საერთაშორისო პოლიტიკაში აქტორების ქცევის წესების ერთობლიობა, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ, როგორც კაცობრიობის განვითარების განუყოფელი ნორმა, რომელსაც მართალია არ აქვს იურიდიული ძალა მაგრამ უკვე დაკავშირებულია მოქმედ

სამართლებრივ ნორმასთან. თანამედროვე საერთაშორისო სამართლს საფუძვლად უდევს კაცობრიობის განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, რომლებიც, პირველ რიგში, სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს შეიცავს. საერთაშორისო მორალი ეთიკური ლირებულებები და ნორმებია, რომელიც საერთაშორისო სამართლს არ მიეკუთვნება.

## საერთაშორისო ორი

საერთაშორისო კონფლიქტის ფორმა, რომელშიც ორი დამოუკიდებლად აღიარებული სახელმწიფო, ან სახელმწიფოთა კოალიცია მაინც მონაწილეობს. საომარი მოქმედებანი მონინაალდებეთა შორის შეიძლება დაინწყოს ერთ-ერთი მხარის მიერ ომის გამოცხადებით ან ამის გარეშე. ს.ო. გარკვეული პოლიტიკური, ან ეკონომიკური მიზნებით წარმოებს, ანდა მისი მიზანია, ხელი შეუშალოს მტერს, რომელიც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე საკუთარი ბატონობისა დამყარებას ცდილობს, სახელწმიფოთა შორის ომები სულ უფრო იშვიათი ხდება, მაშინ როდესაც სამოქალაქო ომი სულ უფრო იშვიათი ხდება, მაშინ როდესაც სამოქალაქო ომები ხშირდება და მოითხოვს საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ ჩარევას.

## საერთაშორისო ორგანიზაცია

მუდმივმოქმედი საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო (მთავრობათაშორისი) და საერთაშორისო არასამთავრობოთაშორისი დაწესებულებები, რომლებიც იქმნება პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების განსახორციელებლად. საერთაშორისო ორგანიზაციის როლი ინტეგრაციის პროცესების გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო იზრდება. მსოფლიოს ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროებში ურთიერთკავშირი თანამედროვე ეტაპის გარდაუვალი მოვლენაა. საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი იმართება სახელმწიფობრივი ურთიერთობების ძირითად აქტორებს. თავისი ფუნქციებით საერთაშორისო ორგანიზაცია არის პოლიტიკური, ეკონ-

ომიკური, იურიდიული, კულტურული, სამეცნიერო, შეიძლება იყოს უნივერსალურიც. გეოგრაფიული განზომილებით გვხვდება რეგიონული, რეგიონთაშორისი, საყოველთაო ორგანიზაციები.

## საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი

დარგი თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა, იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებს საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას, მათ სამართლებრივ სტატუსს, განსაზღვრავს უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს. სოს აერთიანებს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის საერთო პრინციპებსა და ნორმებს, ასევე იმ ინდივიდუალურ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც ასახავს ცალკეული ორგანიზაციების ან ორგანიზაციათა ჯგუფის სპეციფიკას. განასხვავებენ საერთაშორისო ორგანიზაციების შიდა და საგარეო სამართალს. მათი საგარეო სამართალი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობას სხვა სტრუქტურებთან - ამ ორგანიზაციების როგორც წევრ, ისე არაწევრ სახელმწიფოებთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ა.შ., ხოლო შიდა სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომლებიც ანესრიგებენ ორგანიზაციის შიდასამართლებრივ ურთიერთობებს (საპროცედურო, საფინანსო და პერსონალისთვის განკუთვნილი წესები) სისტემის წყაროებს მიეკუთვნება: 1) საერთაშორისო ორგანიზაციების დამფუძნებელი აქტები; 2) საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა შეთანხმებები; 3) საერთაშორისო ჩვეულებები (იხ. საერთაშორისო ჩვეულებათა სამართალი); 4) საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი. სოს, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის შემადგენელი ნაწილი, უნდა შეესაბამებოდეს იმ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც დაფიქსირებულია გაეროს წესდებაში. სოსის განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენს ის შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოთა

მუდმივი წარმომადგელობების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს (1946 წლის კონვენცია გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, 1947 წლის კონვენცია სპეციალიზებულ დაწესებულებათა პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, 1975 წლის კონვენცია უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებმი სახელმწიფოთა წარმომადგენლობის შესახებ და სხვ.).

## საერთაშორისო პოლიტიკა

ვიწრო გაგებით ეს არის საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები რომელიც მოიცავს საერთაშორისო ეკონომიკურ, სამართლებრივ, იდეოლოგიურ, კულტურულ და სხვა ურთიერთობებს. ფართო გაგებით საერთაშორისო პოლიტიკა გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების ყველა კომპონენტის ურთიერთობის პოლიტიკების ერთობლიობას, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს კიდეც ურთიერთობების სახესა და თავისებურებებს. აქედან გამომდინარე ყალიბდება საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა, სამართლებრივი პოლიტიკა, იდეოლოგიურ პოლიტიკა, კულტურული პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა და ა.შ. აქედან გამომდინარე საერთაშორისო პოლიტიკა მიჩნეულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაზისად და საფუძვლად. საერთაშორისო პოლიტიკა შეიძლება ასევე გაგებული იქნეს როგორც პროცესი, პრაქტიკული საქმიანობა და როგორც ამ პროცესებისა და ქმედდების შემსწავლელი მეცნიერება. ხმირად საერთაშორისო პოლიტიკას განსაზღვრავენ როგორც ისეთ ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც პოლიტიკური შინაარსი აქვს. ამ ურთიერთობებს ახორციელებენ. სახელმწიფოთა მთავრობები ან უშუალოდ, ან მათ მიერ აკრედიტებული წარმომადგენლობების მეშვეობით. საერთაშორისო პოლიტიკის აქტორები არიან სახელმწიფოები და საერთაშორისო მთავრობათშორის ორგანიზაციები.

## **საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა**

საერთაშორისო ურთიერთობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ერთ-ერთი ქვედარგი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკაზე პოლიტიკურ გარემოს ზემოქმედებასა და, პირიქით, საერთაშორისო პოლიტიკაზე ეკონომიკის ზეგავლენას შეისწავლის. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, როგორც აღლებელი დისციპლინის წარმოშობას ხელი შეუწყო ბრეტონ-ვუდის სისტემის ფორმირებამ და საერთაშორისო დაბმარების განვითარებამ, რამაც უფრო მწვავედ დააყენა საერთაშორისო ეკონომიკაზე პოლიტიკური პროცესების ზეგავლენის პრობლემა.

## **საერთაშორისო რეზიგნი**

მოლოდინების, ინტერესების, პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ერთობლიობა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების მოცემულ სფეროში მოქმედებს და რომელზეც საერთაშორისო პროცესების მონაწილეები თანხმდებიან. ამ თანხმობის საფუძველია ამა თუ იმ სფეროში თანამშრომლობის ინტერესი.

## **საერთაშორისო საზოგადოება**

ეს არის საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეებს შორის საერთო ინტერესებისა და ფასეულობათა ურთიერთდა-მოკიდებულების გარკვეული მოდელი, როცა აქტორები აცნობიერებენ საკუთარი ინტერესების გარკვეული შეზღუდვის საჭიროებას და ურთიერთობებში ერთობლივი მართვისა და საერო ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობას. პირველად ეს ტერმინი გვხვდება საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მამამთავრის, XVIIIს-ის პოლანდიელი იურისტის პუგო გროციუსის შრომაში „ომისა და მშვიდობის სამართალი“, სადაც მითითებულია, რომ „სახელმწიფოთა დიდი საზოგადოება“ ის ძირითადი საფუძველია, რომელზეც საერთაშორისო სამართლის, წესრიგისა და თანამშრომლობის შენობა უნდა აიგოს. ინსტიტუტები, რომლებმაც საერთაშორისო საზოგადოებაში წესრიგი უნდა უზრუნველყოს, არის საერთაშორისო სამა-

რთალი, დიპლომატია, საერთაშორისო ორგანიზაციები და ძალთა წონასწორობა. საერთაშორისო საზოგადოებისათვის აუცილებელია საერთო ინტერესების, ღირებულებებსა და მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების არსებობა.

## საერთაშორისო საზოგადოების ინსტიტუტები

საერთაშორისო პოლიტიკის აქტორების მიერ ერთობლივად მიღებული შეთანხმებული წესების და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს და განაპირობებს საერთაშორისო სისტემის მდგრადობას აყალიბებს საერთაშორისო საზოგადოების ინსტიტუტებს. საერთაშორისო პოლიტიკაში მსგავს ინსტიტუტებს წარმოადგენს საერთაშორისო სამართალი, დიპლომატია, ომი, საერთაშორისო ორგანიზაცია, ძალთა წონასწორობა.

## საერთაშორისო სამართალი

იგივე საერთაშორისო საჯარო სამართალი წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლის თანახმად ხდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რეგლამენტირება. იგი მიიღება სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთშეთნხმებების საფუძველზე. საერთაშორისო სამართლის მიზანს წარმოადგენს ნაციონალურ კანონმდებლობათა შეხამება ერთიანი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესამუშავებლად. საერთაშორისო სამართლის დარგებს წარმოადგენს: დიპლომატიური და საკონსულო სამართალი, საზღვაო სამართალი, საპატიო სამართალი, კოსმოსური სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი, საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართალი, ეკონომიკური სამარტალი. ტერმინი შემოტანილ იქნა 1780 წელს ინგლისელი მეცნიერის ჯერემი ბენთამის მიერ. განარჩევენ საერთაშორისო საჯარო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალს. საერთაშორისო კერძო სამართალი არეგულირებს

ინდივიდების უფლებებსა და მოვალეობებს თავისი  
სახელმწიფოს გარეთ (სხვა ქვეყნებში და საერთაშორისო არენ-  
აზე). საერთაშორისო საჯარო სამართალი განისაზღვრება  
როგორც სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სფეროში  
მოქმედი ქცევის იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც  
სახელმწიფოთა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა  
მიერ აღიარებულია იურიდიულად სავალდებულო ნორმებად და  
გამოხატავს სუბიექტთა საერთო ინტერესებს. საერთაშორისო  
სამართალის სრულფლებიან სუბიექტად დღესაც მხოლოდ  
სუვერენული სახელმწიფო ითვლება. სწორედ სახელმწიფოები  
ქმნიან და იცავენ საყოველთაო საერთაშორისო სამართალში  
ჩამოყალიბებულ საერთაშორისო მართლწესრიგს. შიდა-  
სახელმწიფოებრივი სამართლისაგან საერთაშორისო სამარ-  
თალი მრავალი თავისებურებით განსხვავდება: ა) ფიზიკური  
პირი, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ძირითადი  
სუბიექტია, არ მონაწილეობს საერთაშორისო სამართლებრივ  
ურთიერთობებში; ბ) საერთაშორისო სამართალი არეგულირებს  
მთავრობათშორის ურთიერთობებს, ე.ო. იმ ურთიერთობებს,  
რომლებშიც სახელმწიფოები მონაწილეობენ როგორც უზენაესი  
სუვერენული ხელისუფლების მქონე ერთეულები. გ)  
საერთაშორისო სამართალის ნორმებს სახელმწიფოები და სხვა  
სუბიექტები ურთიერთშეთანხმებით ქმნიან. დ) სახელმწიფოები  
თუ სხვა სუბიექტები იცავენ იმ ნორმებს, რომლებიც თვითონვე  
დააწესეს და რომელთაგან უმრავლესია შემდეგი -  
დაზარალებული სახელმწიფო უფლებამოსილია თავისი  
ძალებით ან სხვა სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო  
ორგანიზაციების დახმარებით დაიცავს შელახული უფლებები.  
თანამედროვე საერთაშორისო სამართალს საყოველთაო  
ხასიათი აქვს, იგი დედამინის ზურგზე არსებულ ყველა  
კონტინენტის ყველა სუვერენულ სახელმწიფოს მოიცავს.

## საერთაშორისო სისტემა

არის მსოფლიო სახელმწიფოებს შორის არსებული დამოკიდებუ-  
ლებების ერთობლიობა, რომელიც მოქცეულია ურთიერთ-  
ობებისა და გარკვეული წესების ჩარჩოში. ანუ საერთაშორისო  
სისტემა არის წესების, ნორმებისა და პროცედურების ნაკრები,

რის საფუძველზეც ხდება აქტორების მისწრაფებების თანხვედრა კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. სისტემა, რომლის შემადგენელი ელემენტებია საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტები (პირველ რიგში, სახელმწიფოები). ამ სუბიექტებს შორის დამოკიდებულებისა და ურთიერთობათა ხარისხი და თავისებურებაზე კანსაზღვრავენ კიდევაც მთელი სისტემის ხასიათს და თავისებურებებსაც. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ საერთაშორისო სისტემას სამი თავისებურება ახასიათებს. პირველი ის რომ იგი შედგება არაერთნაირი, „არატოლფასოვანი“ ერთეულებსაგან. მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სისტემის შემადგენელი ელემენტები რეგულარულ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან. მესამე თავისებურება მდგომარეობს ამ სისტემის „მართვის“ ხასიათში. ეს უკანასკნელი მით უფრო საინტერესოა, ვინაიდან ანარქიულ საერთაშორისო სისტემას და მაშასადამე, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს ახასიათებს წესრიგის საკმაოდ მაღალი „დონე“ და სისტემა „აკონტროლებს“ სახელმწიფოთა ქმედებებს უზენაესი მმართველი ორგანოს არარსებობის პირობებში. საერთაშორისო ურთიერთობებს სისტემური ხასიათი აქვს და სხვადასხვა ტიპის ქვესისტემათა ერთობლიობას წარმოადგენს. საერთაშორისო სისტემა რთული, ჩაკეტილი სისტემაა. თითოეული მისი ელემენტი, თავის მხრივ, სისტემას წარმოადგენს. მაგალითად, სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემის ელემენტებია, მაგრამ სახელმწიფო თვითონ არის სისტემა, რომელშიც სხვადასხვა ჯგუფები თუ ინტერესები ქვესისტემად შეიძლება წარმოვიდგინოთ. საგარეო პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფოები ანარმოებენ, სისტემის ელემენტებს შორის კავშირების ფორმაა, რომლის ხასიათი, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს სისტემის ხასიათს. საერთაშორისო სისტემის ხასიათზე გავლენას ახდენს მისი ძირითადი ელემენტების (უმთავრესი სახელმწიფოების) საგარეო-პოლიტიკური მიზნები და ორიენტაციები. კერძოდ, სუპერსახელმწიფოების ურთიერთობებმა შეიძლება საერთოდ შეცვალოს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა. სტრუქტურის მიხედვით გამოყოფენ საერთაშორისო სისტემის სხვადასხვა ტიპს. ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია ძალოვანი

დამოკიდებულება სახელმწიფოებს შორის. ამ თვალსაზრისით კ.პოლსტი საერთაშორისო სისტემის ხუთ ტიპს გამოყოფს. (იერარქიული, დიფუზური, დიფუზურ-ბლოკური, ერთპოლუსიანი, მრავალპოლუსიანი), მ.კაპლანი კი - ექვსს იერარქიული, რბილი ბიპოლარული, ხისტი ბიპოლარული, უნივერსალური, ძალთა წონასწორობისა, ერთეული ვეტოს); პრაქტიკაში არსებითად თავს იჩენს მხოლოდ ორი ტიპი: ბიპოლარული და მულტიპოლარული.

## საერთაშორისო ტერორიზმი

საერთაშორისო ტერორიზმი არის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ნაირსახეობა და საერთაშორისო მასშტაბის საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ერთობლიობა, რომელიც გამოიხატება ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებით ან მოქმედების მუქარით, მიმართული გარკვეული მიზნების (უმეტესად პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვა) მისაღწევად ძალადობის, ტერორისტული აქტების საჯაროდ განხორციელებით, მოსახლეობის ან ხელისუფლების დაშინებით და მასზე პირდაპირი ან ირიბი ზენოლით, რომელიც ასევე იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, დიპლომატიური სამსახურებისა და მათი პერსონალის ნორმალური საქმიანობის მოშლას, აბრკოლებს საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობას. მისთვის დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ტერორისტულ ჯგუფებში (ორგანიზაციებში) გაერთიანება, ერთი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მეორე სახელმწიფოში ტერორისტული აქტის ჩადენა, ინდივიდის ან ტერორისტული აქტის ჩადენა, ინდივიდის ან ტერორისტული ჯგუფის ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის ან დიპლომატიური აგენტების, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენელთა, საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი პერსონალის წინააღმდეგ.

## საერთაშორისო ურთიერთობაების თეორია

არის საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო კვლევის ძირითადი დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოებსა

და სხვა სუბიექტებს შორის მიმდინარე პროცესებს, მათ ქცევას საერთაშორისო არენაზე და, მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსურ საკითხებს. არსებობს რამდენიმე სკოლა და პარადიგმა, რომელთა შორის მიმდინარე დებატები მის ბირთვს შეადგენს. მათ შორის: რეალიზმი, ბიპევიორიზმი, ნეორეალიზმი, ნეოლიბერალიზმი, საერთაშორისო საზოგადოების თეორია, მსოფლიო სისტემების თეორია, კრიტიკული თეორია და პოსტმოდერნიზმი.

□

## **საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგია**

სოციოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას: თანამშრომლობის, თანაარსებობის, ურთიერთგაების, კონფლიქტის, კოლონიზაციის და ა.შ. სოციოლოგიურ ასპექტებს. საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის მთავარი ამოცანაა ახსნას სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის არსებობის მიზეზები, შეიმუშაოს. მისი გადაჭრის გზები და მეთოდები, დასახოს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისეთი რაციონალური ფორმები, რომლებიც ემყარება ჰუმანიზმის, თანასწორობის, მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთპატივისცემის აღიარებულ პრინციპებს. საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის კვლევის მეთოდებია: სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი (ა.ეტციონი), სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი (ი.გალტუნგი), ლიბერალურ-დემოკრატიული მიდგომის მეთოდი (ჩ.ნილსი), სისტემური კვლევისა და მოდელირების მეთოდი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, თამაშისა და ოპერაციონალიზმის მეთოდი და ა.შ.

## **საერთაშორისო ხესრიზი**

სახელმწიფოთაშორის წესრიგია და საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი მოწყობაა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოებისა და სხვა ინსტიტუტების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, შექმნას და მხარი დაუჭიროს ისეთ პირობებს, რომელიც ხელს შეუწყობს მათ

არსებობას, უსაფრთხოებას და განვითარებას. საერთაშორისო წესრიგს აქვს პოლიტიკური, დიპლომატიური, სამართლებრივი, ეკონომიკური და სამხედრო წარმატებები. თანამედროვე საერთაშორისო წესრიგს სახელმწიფოების სუვერენულობის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დამცველად გვევლინება.

## **საერთაშორისო ხელშეკრულება**

როგორც წესი ნიშნავს ხელშეკრულებას სახელმწიფოებს შორის. ასეთი ხელშეკრულებებით მხარეები (ან ხელშემკვრელი მხარეები – ანუ ქვეყნები, რომლებმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს) იღებენ გარკვეულ ვალდებულებებს ერთმანეთის წინაშე. ეს არის ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ან სხვა სუბიექტების შეთანხმება უფლებათა და ვალდებულებათა ჩამოყალიბების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ასეთ შეთანხმებას შეიძლება ეწოდოს კონვენცია, პაქტი, ოქტო, ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვა, მაგრამ მიუხედავად სახელწოდებისა, მათი იურიდიული ძალა თანაბარია. საერთაშორისო ხელშეკრულების მხარედ მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები გვევლინებიან, ძირითადად, სახელმწიფოები. ხელშეკრულებების დადების, გაუქმების, მოქმედების საკითხები საერთაშორისო სამართლით რეგულირდება.

## **სამხედრო კონფლიქტი**

ნარმოადგენს სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობის გადაწყვეტის ფორმას, რომლის დროსაც სამხედრო ძალადობა გამოიყენება ორივე მხრიდან. იგი მოიცავს შეიარაღებული წინააღმდეგობის ყველა სახეობას. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ტერმინი სამხედრო კონფლიქტი იხმარება როგორც ომის სინონიმი.

## **სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია**

პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაცია. მისი წევრია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 10 სახელმწიფო, რომელთა საერთო

ფართობია 4,464 ათასი კმ<sup>2</sup>, მოსახლეობა — 575.5 მილიონი. ასოციაციის შექმნას 1967 წლის ბანგკოკის ხელშეკრულებით საფუძველი ჩაუყარეს ინდონეზიამ, მალაიზიამ, ფილიპინებმა, სინგაპურმა და ტაილანდმა. 1984 წელს მათ შეუერთდათ ბრუნეი, 1995 წელს ვიეტნამი, 1997 წელს მიანმარი და ლაოსი, ხოლო 1999 წელს ამ ორგანიზაციის წევრი გახდა-კამბოჯა. ასოციაციის 10 ქვეყნიდან 6 რესპუბლიკური მმართველობისაა, ოთხი კიმონარქიული ქვეყანაა, მათ შორის ბრუნეი აბსოლუტური მონარქია.

## სანდცია

გარკვეული ზომების ერთობლიობა, რომელიც, გამოხატულია პოზიტური (წახალისების) ან ნეგატიური (დასჯის) ფორმებით და ემსახურება საზოგადოებაში სოციალური ნორმების დაცვასა და მხარდაჭერას. თავის მხრივ, სანქციები შეიძლება იყოს ფორმალური (მაგ., იურიდიული ხასიათის, როგორიცაა დაპატიმრება კანონდარღვევის საფუძველზე, ჯარიმა, ოფიციალური საყვედური, ან პირიქით, მადლობა) და არაფორმალური (მაგ., ლინჩის წესით გასამართლება).

## სახელმწიფო

ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის **სუვერენულ** უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, **სამართალს** ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის **მოქალაქეთა** უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი. ისტორიულად ცნობილია სახელმწიფოებრივი გაერთიანებების არაერთ ფორმა. მაგ., პოლისი, რესპუბლიკა. შეუსაუკუნეების ევროპაში სახელმწიფო ხელისუფლება არა მხოლოდ დეცენტრალიზებული, არამედ პრივატიზებულიც იყო ძირითადი სანარმოო საშუალებების, მიწის მფლობელთა მიერ. ახალ ეპოქაში ჩამოყ

ალიბდა ნაციონალური სახელმწიფოები, რომლებსაც ისეთი მნიშვნელოვანი ნიშნები ჰქონდათ, როგორიცაა რეგულარული არმია, ცენტრალიზებული ბიუროკრატია, საყოველთაო საგადა-ასახადო სისტემა, დიპლომატიური სამსახურის შექმნა და მერკ-ანტილიზმის ეკონომიკა, რომელიც აყალიბებდა სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკას. სახელმწიფოს აქვს მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი და ნარმოადგენს რა საზოგადოებას, ახორციელებს ხელმძღვანელობას მასზე და უზრუნველყოფს მის ინტეგრაციას. სახელმწიფოს აუცილებელი ნიშნებია: სუვერენიტეტი, ტერიტორია, მოსახლეობა, დიპლომატიური აღიარება, შიდა სახელისუფლებო ორგანიზაცია და შინაგანი ნდობა ანუ მოსახლეობის ერთგულება საკუთარი ქვეყნისადმი. სახელმწიფოს ფუნქციები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად – საშინაო და საგარეო ფუნქციებად. სახელმწიფოს ფორმა შეიცავს სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ინსტიტუტს – მმართველობის ფორმას, სახელმწიფო მოწყობის ფორმასა და სახელმწიფო რეჟიმს. მმართველობის ფორმების მიხედვით სახელმწიფოს ორი ძირითადი ფორმა არსებობს – მონარქია და რესპუბლიკა. მონარქია, თავის მხრივ, შეიძლება იყოს აბსოლუტური და კონსტიტუციური; ხოლო რესპუბლიკა – საპარლამენტო და საპრეზიტენტო. სახელმწიფო მოწყობის ფორმის მიხედვით სახელმწიფო შეიძლება იყოს უნიტარული და ფედერაციული, ხოლო რეჟიმის მიხედვით – დემოკრატიული, ავტორიტარული და ტოტალიტარული. გარდა სახელმწიფოთა ფორმებისა, გამოყოფებ სახელმწიფოთა ტიპებს როგორიცაა აღმოსავლური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური. საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით უფრო საინტერესოა სახელმწიფოების დაყოფა ზესახელმწიფოებად, დიდ, საშუალო და პატარა ქვეყნებად. გარდა ამისა, გამოყოფებ ურჩ, კვაზი და არშემდგარ სახელმწიფოებს.



## **სახელმიწოდებელი**

დოქტრინა, რომელიც სახელმწიფოს უნივერსალურ ზღვარზე მაღლა დაყენებას გულისხმობს. ახალ ეპოქაში სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში სახელმწიფო ინტერესების ფენომენის გააქტიურება იყო უპრეცედენტო გარღვევა შუა საუკუნოვან შეხედულებებთან მიმართებაში. შუა საუკუნებში დასავლეთ ევროპის მოსახლეობისათვის სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები განიხილებოდა არა საჯარო სამრთალზე დაფუძნებული, არამედ როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები. სახელმწიფო ინტერესების და შესაბამისად ნაციონალური საგარეო პოლიტიკის გააქტიურება გახდა საფუძველი ძალთა ბალანსის სისტემის ფორმირებისა. მან თავისი გამოხატულება პპოვა სახელმწიფოთა პოლიტიკური თანასწორობის პრინციპში. წარმოიქმნა საერთაშორისო ურთიერთობათა ის სისტემა, რომელმაც ამ ურთიერთობებში მოიტანა გარკვეული წესრიგი

## **სახელმიწოდებელი**

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში სახელმწიფოცენტრული მიღებომა, რომელიც სახელმწიფოებს განიხილავს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტ და განსაზღვრულ აქტორებს. საერთაშორისო ურთიერთობების შინაარსად მიიჩნევს სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ასევე ხაზს უსვამს საერთაშორისო სისტემის ანარქიულობას. სახელმწიფოს ინტერესები არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს აქტორების ქცევას საერთაშორისო არენაზე და, ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს. სახელმწიფოცენტრიზმი ერთმნიშვნელოვნად აღიარებს სახელმწიფოს სრულ დომინირებას როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში.

## **სოციალური კონსტრუქტივიზმი**

საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელია საერთაშორისო საზოგადოების წესები და ნორმები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესებს

განაპირობებს. სოციალური კონსტრუქტივიზმის მიხედვით, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების არსში წვდომა სწორედ ამ ნორმებისა და წესების ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი.

## სტრატეგია

სტრატეგია არის ზოგადი, გრძელვადიანი და არადეტალიზებული სამოქმედო გეგმა, რომელიც შექმნილია და გამოიყენება სასურველი მიზნის მისაღწევად. სტრატეგია, როგორც მოქმედების გეგმა, ხდება აუცილებელი, ისეთ სიტუაციებში, როდესაც, მთავარი მიზნის მისაღწევად, რესურსები არაა საკმარისი. ასეთ შემთხვევაში, სტრატეგიის მიზანია, არსებული რესურსების ეფექტური გამოყენებით, მთავარი მიზნის მიღწევა. სამხედრო სტრატეგია არის აზრების/იდეების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება მეომარი მზარის მიერ, რათა მიღწეული იქნას სტრატეგიული მიზანი. ტერმინი სტრატეგიული მიზანი, გამოიყენება სტრატეგიული დაგეგმვის დროს და ამ დროს ხდება განსაზღვრა თუ მოის როგორი შედეგი იქნება სასურველი მეომარი მხარისთვის (ან იმისთვის, ვინც მოისათვის ემზადება). სტრატეგია არის პრინციპული ინსტრუმენტი ნაციონალური ინტერესების დასაცავად. სამხედრო სტრატეგია უფრო ფართო და ზოგადო გეგმაა, ვიდრე სამხედრო ტაქტიკა. სტრატეგია შეიძლება დაყოფილ იქნას გრანდ სტრატეგიად და სამხედრო სტრატეგიად. გრანდ სტრატეგია (ზოგჯერ იწოდება ნაციონალურ სტრატეგიად) ქვეყნის ყოვლისმომცველ სტრატეგიას წარმოადგენს და მოიცავს როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიური, ინფორმაციული და ეკონომიკური რესურსების გამოყენებასაც. სამხედრო სტრატეგია კი მოიცავს ისეთი სამხედრო რესურსების გამოყენებას, როგორიცაა ჯარისკაცები, აღჭურვილობა, მტრის რესურსების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

## სუვერენიტეტი

ექსპლუზიური უზენაესობა, უზენაესი უფლებების ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოსა და მის მეთაურს ეკუთვნის. ქვეყნის სუვერენიტეტი მის სრულ დამოუკიდებლობას ნიშნავს. სხვა

სიტყვებით, სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყნის ტერიტორიის ყველა წესი და კანონი თავად ამ ტერიტორიის მიერ წესდება, და მხოლოდ მის მიერ. სახელმწიფო სუვერენიტეტის გარეშე სახელმწიფო არ არის და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ნაწილს ან [კოლონიას](#) წარმოადგენს. სახელმწიფო სუვერენიტეტი ვრცელდება შიდა წყლებზე, ტერიტორიულ **ზღვაზე**, მიმდებარე ზონაზე, კონტინენტურ შეღწევაზე. აქედან აბსოლუტური სუვერენიტეტი ვრცელდება შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე. სახელმწიფო საზღვარი ზღვაზე ამ შემთხვევაში გადის ტერიტორიულ ზღვაზე. საერთაშორისო სისტემაში სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს უფლება სრულ თვითმმართველობაზე, სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის სუვერენიტეტის აღიარება საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველია. დღეს ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელმწიფო სუვერენიტეტს, ეროვნულ სუვერენიტეტსა და სახლახო სუვერენიტეტს. სახელმწიფო სუვერენიტეტის ნიშან-თვისებაა, რომელიც გამოხატავს ამ ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას საერთაშორისო ასპარეზზე; ეროვნული სუვერენიტეტი არის ერის სისხლხორცეული უფლება, თვითონ განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება, შექმნას დამოუკიდებელი ანუ სუვერენული სახელმწიფო. ეროვნულ უმცირესობებს ასეთი უფლება არა აქვთ; სახალხო სუვერენიტეტს იგივე ნიშან-თვისებები აქვს, რაც ეროვნულს, მაგრამ მისი მოქმედების სფერო უფრო ფართო ხასიათისაა – მრავალეროვან საზოგადოებაში ხალხის ცნება არ თავსდება მხოლოდ ერის ჩარჩოებში, იგი ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა თუ ეროვნების მოქლალქეთა საერთო უფლებად გვევლინება, თუმცა ზოგიერთ ერს შეუძლია სრულად გამოიყენოს თავისი ეროვნული სუვერენიტეტი და შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო.

## სუვერენული თანასოფრობა სახელმწიფოთა

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა გაეროს წესდება (მე-2 მუხ., 1-ლი პუნქ.) და რომლის შინაარსი განსაზღვრულია გაეროს 1970 წლის დკლარაციით საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, აგრეთვე ეუთოს 1975 წლის დასკვნითი აქტით (იხ. ეუთო და ძირითადი პრინციპები სერთაშორისო სამართლისა). სუვერენიტეტი განსაზღვრავს სახელმწიფოების სუბიექტუნარიანობას საერთაშორისო ასპარეზზე და მათ თანასწორუფლებიანობას საერთაშორისო სამართლის წინაშე, განურჩევლად მათი ტერიტორიის სიდიდისა, მოსახლეობის რაოდენობისა, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სმხედრო ძლიერებისა; ყოველ მათგანს აქვს თანაბარი უფლებები და მოვალეობანი, რომლებსაც მათ ანიჭებს და აკისრებს საყოველთაო საერთაშორისო სამართალი თავისი ძირითადი პინციპებისა და სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა თუ ნორმების სახით; სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმნეთის უფლებას - თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზრვონ და განახორციელონ ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; მათ უფლება აქვთ, ეკუთვნოდნენ ან არ ეკუთვნოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, იყვნენ ან არ იყვნენ ორმხრივ თუ მრავალმხრივ საერთაშიორისო ხელშეკრულებათა მონაწილენი, აქვთ აგრეთვე ნეიტრალიტეტის უფლება; საერთაშორისო კონფერენციებზე, საერთაშორისო ოგნიზაციებში თუ სხვა საერთაშორისო ორგანოებში ყოველ სახელმწიფოს აქვს თითო ხმა. გაეროს უშიშროების საბჭოს მუმივი წევრების ვეტოს უფლება არ არის მიჩნული თანასწორობის პრინციპისაგან გადახვევად, რადგან ამ უფლების მქონე დიდ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსოფლიოში სმშვიდობისა და ხალხთა უშიშრობის დაცვის საქმეში. რაც შეეხება უნივერსალურ საფინანსო ორგნიზაციებს (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი), მათ შემოღებული აქვთ ე.წ. „აწონილი ხმების პრინციპი“, რაც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის რაოდ-

ენობის, ეროვნული შემოსავლის სიდიდისა და ორგანიზაციაში ფულადი შენატანის ოდენობის გათვალისწინებას.

### **ტრანსეაციონალური კორპორაცია**

საერთაშორისო ეკონომიკური კომპანიები, რომელიც კონტროლს უწევენ მსოფლიო მეურეობის ერთ ან რამდენიმე დარგს. ასეთ კომპანიებს სანარმოები გააჩნია რამდენიმე ქვეყანაში. ტნკ-ები უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. გლობალიზაციის პროცესში არა მარტო ძალიან გაზარდა ტნკ-ების როლი მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში და ისინი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად აქტორებად აქცია.

### **უნიკოლარიზაცია**

იგივე პოლარიზმი საერთაშორისო სისტემის ტიპი ერთი დომინანტი აქტორით, რაც სისტემას ერთპოლუსიანად აქცევს.

### **ურჩი სახელმწიფო**

სახელმწიფო, რომელიც თავისი პოლიტიკური სისტემის ან ხელმძღვანელობის ქცევის გამო საერთაშორისო დიპლომატიური იზოლაციაშია მოქცეული. ის არ ემორჩილება საერთაშორისო სამართლის, დიპლომატიისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ქცევის წესებს.

### **უსაფრთხოება**

ძირითადი ფასეულობების მიმართ საფრთხის არარსებობა. სახელმწიფოსთან მიმართებაში უსაფრთხოების ცნება გულისხმობს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული იდეოლოგისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. უსაფრთხოება არის პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერსების დაცულობის მდგომარეობა საშინაო და საგარეო საფრთხეებისაგან. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერსები ეს არის იმ მოთხოვნილებების ერთობლიობა, რომელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და

სახელმწიფოს განვითარების შესაძლებლობას და არსებობას. ხოლო სასიცოცხლო მოქმედების უსაფრთხოება ეს არის მოქმედებს ისეთი მდგომარეობა, რომელის დროსაც განსაზღვრული საიმედოობით გამორიცხულია საფრთხის გამოვლინება. არსებობს უსაფრთხოების შემდეგი სახეები ეკოლოგიური უსაფრთხოება, ეროვნული უსაფრთხოება, სამრეწველო უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება, საინფორმაციო უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სამხედრო უსაფრთხოება, საშინაო უსაფრთხოება, საგარეო უსაფრთხოება.

### **უსაფრთხოების დილეგა**

მდგომარეობა როდესაც სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ახდენენ საკუთარი სამხედრო ძლიერების გაზრდას და ამით სხვა სახელმწიფოებს საფრთხის შეგრძენების პროცესირებას ახდენენ, რის შედეგად ეს უკანასკნელნიც ანალოგიურ ქმედებას ახორციელებენ. შედეგად იქმნება პარადოქსული სიტუაცია, როდესაც სახელმწიფოები სამხედრო ძლიერების ზრდით სასურველის საწინააღმდეგო შედეგს ანუ ომის საშიშროებას აღწევენ.

### **უსაფრთხოების თანამეგობრობა**

იგივე რეგიონაული უშიშროების სისტემა, ანუ საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმა უსაფრთხოების სფეროში. უსაფრთხოების თანამეგობრობის მონაწილეები უარს ამბობენ ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე. არსებობს უსაფრთხოების პლურალისტული და შერწყმული თანამეგრობრობა. მათ შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი საერთო ინსტიტუტების არსებობა ან არარსებობაა.

### **უსაფრთხოების კომპლექსი**

იგივე რეგიონაული უშიშროების სისტემა. სახელმწიფოთა ჯგუფი, რომლებიც უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობისათვის ითვალისწინებს რეგონალურ კონტექსტს ანუ სახელმწიფოთა უსაფრთხოების პრობლემატიკაში რეგიონული საკითხები დომინირებს. ამ დროს რეგიონის სახელმწიფოების უსაფრთხოების

ძირითადი პრობლემები იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ თითოეული მათგანის ეროვნული უსაფრთხოების საკითხები დანარჩენისაგან მოწყვეტილად ვერ გადაწყდება. შესაძლებელია უსაფრთხოების კომპლექსის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს რევიონის მეზობელი დიდი სახელმწიფოები ან ზესახელმწიფოებიც წარმოადგენდეს.

## უსაფრთხოების რეზიმი

უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფოთა მიერ საერთო ინტერესების საფუძვლიზე შექმნილი წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ერთობლიობა.

## უპიშროება

ეს არის ნინასნარ განსაზღვრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ძალისმიერ და ა.შ (სოციალურ, ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, სამართლებრივ და სხვ.) ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების მუდმივ დაცვას და ქვეყნის დინამიურ განვითარებას, როგორც მშვიდობიან პირობებში, ასევე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების და პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საფრთხეების დინამიკის გათვალისწინებით. უშიშროება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც მათ არ ემუქრებათ ომის საფრთხე, ან კიდევ სხვა ხელყოფა გარედან. ჩვეულებრივ უშიშროება განუყოფლად განიხილება სხვადასხვა მასშტაბებში: ეროვნული უშიშროება - ერთი სახელმწიფოს ფარგლებში რევიონული უშიშროება - მსოფლიოს ამა თუ იმ რაიონის ფარგლებში საერთაშორისო, საყოველთაო უშიშროება - გლობალურ, მსოფლიო მასშტაბით. საერთაშორისო უშიშროების სისტემა სტრუქტურულად მოიცავს ისეთ ძირითად სფეროებს და მიმართულებს როგორიცაა სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული. ყველა ამ სფეროში არსებობს რთული

პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია უშიშროების მთელი კონსტრუქციის სიმტკიცე.

## ვემინისტური

ფემინისტური მიმდინარეობა აკადემიურ დისციპლინათა ფართო სპექტრს მოიცავს, ლიტერატურიდან დაწყებული ფსიქოლოგიისა და ისტორიის ჩათვლით. უკანასკნელ პერიოდში ფემინიზმი ისეთ სფეროებშიც კი შეიქრა როგორიცაა – საერთაშორისო ურთიერთობები. ფემინისტური სწავლების სპეციალისტები თვლიან, რომ საერთაშორისო ურთიერთობების არსში უკეთ და უფრო ღრმად ჩაწვდომა ქალის როლისა და გავლენის გათვალისწინების ფონზეა შესაძლებელი. ფემინისტური შეხედულები და სისტემის მუშაობის ეფექტურობას და ხარისხს – განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ომი და საერთაშორისო უსაფრთხოება. ფემინისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ რეალიზმის ძირითადი განმარტებები (განსაკუთრებით ანარქიასა და სუვერენიტეტთან დაკავშირებით) აღნიერენ თუ როგორ ურთიერთობენ მამაკაცები ერთმანეთთან და რა შეხედულებები გააჩნიათ მათ მსოფლიოს შესახებ. აქედან გამომდინარე, რეალისტური მიდგომა ფაქტიურად მხოლოდ მამაკაცთა მონაწილეების აზრსა და იდეებს მოიცავს და უფრო რეალისტური იქნებოდა მათი, როგორც მამაკაცების, ქმედებების განხილვა. ისინი თვლიან, რომ აღსანიშნავია ქალების გავლენაც საერთაშორისო ურთიერთობების სფეროზე (მამაკაცებისაგან განსხვავებით უფრო მეტად იყენებენ არასახელმწიფოებრივ საშუალებებს) – და ეს გავლენა ჩვეულებრივ იგნორირებულია რეალიზმის მიერ. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ფემინიზმთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული რამდენიმე მიდგომა არსებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორიები ერთმანეთთან მჭირდო კავშირშია (ყველა მათგანი განიხილავს სქესსა და ქალების სტატუსს), ისინი სხვადასხვა მიმართულებით ავითარებენ არესებულ მოსაზრებებს. რამდენიმე ძირითად საკითხთან დაკავშირებით ფემინიზმის სხვადასხვა განშტოებას ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნია რაც ფემინიზმის ნიადში საინტერესო დებატების

წინაპირობას ქმნის. აღნიშნულ მიმართულებებიდან ერთ-ერთია – დიფერენცირების ფემინისტური მიმართულება – რომელიც ყურადღების კონცენტრირებას ახდენს ქალის სტატუსის აღიარებაზე – ქალების, როგორც საზოგადოების მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა გამორჩეული წვლილის შეფასებაზე. ფემინიზმის მეორე მიმართულებისათვის – ლიბერალური ფემინიზმისათვის – მიუღებელია ზემოაღნიშნული იდეები ვინაიდან ისინი ეყრდნობა სტერეოტიპულ გენდერულ როლებს. ლიბერალი ფემინისტების აზრით მამაკაცების და ქალები თანასწორნი არიან, არ არსებობს არანაირი სხვაობა მათ შესაძლებლობებს შორის. ლიბერალი ფემინისტები გმობენ იმ მიდგომას, რის მიხედვით ქალები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ვერ ფლობენ სათანადო პოზიციებს, მაგრამ ამავდროულად თვლიან, რომ ქალების ჩართამ შესაძლოა ცვლილება არ მოახდინოს საერთაშროვისო სისტემაზე. ლიბერალი ფემინისტები ქალის როლს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მოიაზრებენ ისეთი სტატუსით როგორიცაა – სახელმწიფოს ლიდერები, სამხედრო სამსახურში მყოფი და აგრეთვე ტრადიციულად ამ სქესისათვის დამახასიათებელი პოზიციის გარდა სხვა სახის სამსახურში. მესამე მიდგომის მიხედვით ფემინიზმის იდეა გაერთიანებულია პოსტმოდენიზმთან. პოსტმოდერნისტი ფემინისტები უარყოფენ ზემოაღნიშნულ ორივე მიდგომას. თუ დიფერენციალისტი ფემინისტების აზრით აუცილებელია სქესთა შორის განსხვავების დადგენა და დაფიქსირება, და თუ ლიბერალი ფემინისტებისათვის არ არსებობს სხვაობა ორივე სქესს შორის, პოსტმოდერნისტი ფემინისტების შემთხვევაში სქესთა შორის სხვაობა მნიშვნელოვანი, მაგრამ ამავდროულად პირობითია და დამოკიდებულება შეიძლება მუდმივად იცვლებოდეს. გარკვეულ ეტაპზე ფემინიზმის მარავალფეროვანი მიმართულებები და პიპოთეზები ნაწილობრივ ემთხვევა კინსერვატიული, ლიბერალური და რევოლუციური შეხედულებების ზოგად პრინციპებს.

## **შეზღუდული პირთვული ომი**

მონინააღმდეგის მიმართ შედარებით შეზღუდული რაოდენობით ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობა. ასეთ ომში, ბირთვული იარაღის სამიზნე იქნება მონინააღმდეგის სამხედრო ქარხნები და სამხედრო ბაზები, რომ განადგურებულ იქნას მონინააღმდეგის შესაძლებლობა, განახორციელოს შეტევა ან დაიცვას თავი ან როგორც ტაქტიკა, რომ ბირთვული შეტევის შემდეგ, მოხდეს კონვენციური ძალების გამოყენებით შეტევა. სამიზნე შესაძლებელია იყოს როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო პირები.

## **შეიარაღებული კონტროლი**

სამხედრო ძალების მშენებლობის, განლაგების ან გამოყენების ნებაყოფილობითი შეზღუდვის პოლიტიკა. შეიარაღებული კონტროლის პოლიტიკა გულისხმობს, რომ სამხედრო ძალა საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტს წარმოადგენს და მისი გამოყენება დაშინების მიზნებისათვის დასაშვებია. შეიარაღებული კონტროლი სწორედ ამით განსხვავდება განიარაღების პოლიტიკისაგან, რაც სამხედრო შეიარაღების სრულ მოსპობას ითვალისწინებს. შეიარაღებული კონტროლი ეფუძნება მოსაზრებას, რომ გამალებული შეიარაღება, რომელიც უსაფრთხოების დილემას წარმოშობს, საერთაშორისო ურთიერთობების ყველა მონაწილეს წამგებიან მდგომარეობაში აყენებს.

## **შეკავების აოლიტიკა**

ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპი, რომელიც საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას შეჩერებას ისახავდა მიზნად. შეკავების პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები იყო სამხედრო ალიანსები, ეკონომიკური დახმარება და იდეოლოგიური ომი, ხოლო მთავარი პრინციპები - დაშინება და ინტერვენცია.

## **ჩაურევლობა**

საერთაშორისო სამართალის ერთ-ერთი და თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მთავარი პრინციპი, რომელიც სახელ-მწიფოთა დამოუკიდებლობასა და სუვერენულ თანასწორობას ეფუძნება. ტერმინი ჩაურევლობა ასევე აღნიშნავს საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ სახელმწიფო პოზიციას, რომელიც გამოიხატება ომის მონაწილე რომელიმე მხარისათვის დახმარების გაწევისაგან თავის შეკავებით.

## ნატო

სამხედრო რეგიონალური ორგანიზაცია შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე ათი ევროპული და ორი ჩრდილოამერიკული დამფუძნებელი ქვეყნის მიერ. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს, წევრი ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო უსაფრთხოებისა და თავისუფლების შექმნა. აღნიანის უზრუნველყოფს სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარებას ევროპაში, რაც დემოკტარიულ ღირებულებებს, ადამიანთა უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობას ემყარება. აღნიანის პოლიტიკა ომის შეჩერებასა და ქვეყნების ეფექტურ თავდაცვას ითვალისწინებს. იგი აგრეთვე მშვიდობის დამყარების მიზნით, მოიცავს სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოებას, კოლექტიურ ძალისხმევას, მომავალში სამხედრო ტექნოლოგიების კონტროლსა და განიარებას. ასევე ფართო საპარტნიორო ბაზის შექმნასა და ევროპისა და ატლანტიკის ქვეყნებთან დიალოგების გამართვას, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალე და საიმედო პოლიტიკის გატარებას. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია წევრ ქვეყნებს სთავაზობს თანამშრომლობასა და კონსულტაციებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა არასა-მხედრო სფეროებში, ისევე, როგორც თავდაცვის სფეროში. იგი უზრუნველყოფს სამხედრო ძალებს აღჭურვილობითა და ტრენინგებით. ბრიუსელში ნატო-ს შტაბ-ბინა წარმოადგენს ნატო-ს პოლიტიკურ შტაბს და აღიანის მუდმივ ადგილსამყოფელს. მასში განთავსებულია ნატო-ს მუდმივი წარმოადგენლობა, ეროვ-

ნული დელეგაციები, გენერალური მდივანი და საერთაშორისო სამდივნო, ნაციონალური სამხედრო წარმომადგენლები, სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე და საერთაშორისო სამხედრო შტაბი. შტაბბინაში, ასევე იმყოფებიან პარტნიორი სახელმწიფოების დიპლომატიური მისიები, **ნატო**-ს შტაბბინის სამდივნო და მთელი რიგი სააგენტოები. ჩრდილო-ატლანტიკურ კავშირში **ნატო**-ს ქვეყნებს წამოადგენს ელჩი, ან მუდმივი წარმომადგენელი, რომელსაც დახმარებას უწევენ ნაციონალური დელეგაციები, რომელიც შედგება მრჩევლებისგან და თანამდებობის პირებისგან. ეს დელეგაციები რაღაცით ჰგანან პატარა საელჩოებს. ის გარემოება, რომ ისინი იმყოფებიან შტაბბინის ერთ შენობაში, ეს მათ საშუალებას აძლევთ დროულად და იოლი გზით დაამყარონ კონტაქტები ოფციალურ და არაოფიციალურ დონეებზე, როგორც ერთმანეთთან, ასევე **ნატო**-ს საერთაშორისო სამდივნოს თანამშრომლებსა და პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან. **ნატო**-ს გენერალური მდივანი წარმოადგენს მინშვენელოვან საერთაშორისო სახელმწიფო მოღვაწეს. **ნატო**-ს წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ მას მინიჭებული აქვს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თავმჯდომარის წოდება. ის არის მთავარი შემსრულებელი პირი და პასუხს აგებს ჩრდილოატლანტიკურ კავშირში კონსულტაციების პროცესის მიმართულებებსა და გადაწყვეტილების მიღებაზე. მას გააჩნია უფლებამოსილება უთანხმოების შემთხვევაში იშუამავლოს წევრ სახელმწიფოებს შორის. ის პასუხისმგებელია საერთაშორისო სამმდივნოს საქმიანობაზე, **ნატო**-ს ქვეყნების ხელისუფლებებთან და მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე. გენერალურ მდივანს ჰყავს მოადგილე, რომელიც ეხმარება მას, მისი მოვალეობების შესრულებაში და ცვლის მას, მისი არყოფნის შემთხვევაში. დღეს ნატო არის ორგანიზაცია, რომელიც მინშვენელოვნად განსხვავდება იმისაგან რასაც იყო წრმოადგენდა 1989 წელს. ალიანსი არ არის ის სტრუქტურა, რომელმაც უზრუნველყო დასავლეთ ევროპის თავდაცვა ცივი ომის ოთხათეულზე მეტი წლის განმავლობაში და აღარც ის, რომელიც მეთვალყურეობდა გარდამავალ პროცესებს ევროპაში ადრეულ 90-იან წლებში.

ნატო მოიცავს გლობალურ უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავების ტრანსატლანტიკური ძალისხმევას. ალიანსი აკავშირებს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას და აბალანსებს სხვადასხვა ეროვნულ ინტერესებს სტაბილურობისა და მშვიდობისათვის. **ნატოს ნევრი სახელმწიფოები: დამტუძნებლები:** ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ისლანდია, იტალია, კანადა ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, აშშ, საფრანგეთი. **პირველი გაფართოება** საბერძნეთი, თურქეთი. **მეორე გაფართოება** გერმანია; **მესამე გაფართოება** ესპანეთი; **მეოთხე გაფართოება** უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი; **მეხუთე გაფართოება** ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესტონეთი; **მეექვსე გაფართოება** აღბანეთი, ხორვატია.

## ჩრდილოეთი-სამხრეთი

აღნიშნავს განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთობებს/დაპირისპირებას. ჩრდილოეთი-სამხრეთის დიქტომია დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად გააჩნდა. თავდაპირველად ჩრდილოეთი-სამხრეთის დაპირისპირების მიზეზი პოლიტიკური იყო. ხოლო შემდგომში წინა პლანზე ეკონომიკურმა საკითხებმა წამოიწია, რაც ვაჭრობასა და ფინანსებში სამხრეთის ქვეყნების ჩრდილოეთის ქვეყნებზე დამოკიდებულებამ განაპირობა.

## ქალა

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლების სამხედრო კომპონენტი, რასაც ოთხი ფუნქცია აქვს: დაშინება, იძულება, თავდასხმა და პრესტიუსის დემონსტრირება. ძალა, უპირველეს ყოვლისა, მისი შექნის უნართანა დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, სამხედრო რესურსების ფლობას უკავშირდება. საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა იერარქიზაციის უმთავრესი პრინციპი ძალისის ფლობა და მისი გამოყენების სხვათა მიერ აღქმული უნარია. ბირთვული იარაღის გავრცელების კვალდაკვალ გარკვეულწილად შეიცვალა დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის

მნიშვნელობისა და მისი გამოყენების მიმართ. ძალა წარმატებული დიპლომატიის საწინდარია. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სამხედრო ძლიერების კომპონენტი კვლავაც წამყვანია, რასაც თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო ხარჯების ზრდა, სამხედრო პოტენციალის დაგროვება და იარაღით ვაჭრობაც ადასტურებს.

## ქალაუფლება

ერთგვარი უნარი, აიძულო სხვა, გააკეთოს ის, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა. ძალაუფლება საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი მცნებაა, რომელსაც ხშირად იძულებასთან და გავლენასთან აიგივებენ. ძალაუფლებას ხშირად ორმაგი გაება აქვს: 1) ძალაუფლება როგორც უნარი და 2) ძალაუფლება როგორც ურთიერთობა. პირველ შემთხვევაში ძალაუფლების ძირითადი შემადგენელი ნაწილი ძალა, ძლიერებაა, რომელიც ტერიტორიის სიდიდით, ბუნებრივი რესურსებით, საერთო ეროვნული პროდუქტის სიდიდით, მოსახლეობის უნარ-ჩვევებითა და შეიარაღებული ძალების მომზადების დონით განისაზღვრება. ძალაუფლება, როგორც ურთიერთობა, ამ ძალის, ძლიერების გამოყენებას გულისხმობს. ურთიერთობითი ძალაუფლების მიზანია სხვა აქტორების მხრიდან წინააღმდეგობის გადალახვის გზით მათზე ზეგავლენის მოპოვება და მათგან დათმობების მიღწევა. ამ მნიშვნელობით ძალაუფლება განსხვავდება გავლენისაგან, რომელიც სხვა აქტორების მხრიდან სასურველი ქცევის მისაღწევად წინააღმდეგობების გადალახვასა და იძულების გამოყენებას არ გულისხმობს.

## ქალთა ცონასცორობა

საერთაშორისო სისტემაში ძალთა ურთიერთობების შედეგად ჩამოყალიბებული ძალთა ბალანსია. საერთაშორისო სისტემის ანარქიულობის გამო სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის. ამის აუცილებელი პირობა კი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობაა. თავიანთი დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების

შესანარჩუნებლად სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, ერთად მოქმედებენ ხოლმე, რათა დაუპირისპირდნენ იმ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფს), რომელიც საფრთხეს უქმნის მათ უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს. ამგვარად, საერთაშორისო სისტემა დაყოფილია სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფად, რომლებიც დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან და მათ შორის არსებული ძალთა ბალანსი (წონასწორობა) არის მშვიდობისა და წესრიგის მთავარი გარანტია საერთაშორისო სისტემაში, ამ სისტემის მდგრადობის ძირითადი პირობა. ხელსაყრელ შემთხვევაში სახელმწიფოები თავიანთი სურვილით აყალიბებენ კავშირს, რომელიც იცავს თითოეული მათგანის ეროვნულ ინტერესებს, ამასთან, არ არის მათი უფლებების შემლახველი. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო თავისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით იძულებულია მიეტმასწორო დომინანტ სახელმწიფოს, რაც ხშირად ეროვნული ინტერესების ნაწილს დათმობას იწვევს. საერთაშორისო საზოგადოებაში ძალთა წონასწორობა სახელმწიფოებსა და სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის ურთიერთობათა მთავარი რეგულატორია, რომელიც განსაზღვრავს ამ ურთიერთობათა ხასიათს.

## სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტერმინი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოთა შორის დადებულ იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებას, რაც რეგულირდება საერთაშორისო სამართლით

## პერიოდიზაცია

პეგემონიისაკენ, მსოფლიო ბატონობისკენ მისწრაფება. სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო ან რეგიონალურ ბატონობას, სხვა ქვეყნების დამორჩილებასა და მათვის საკუთარი ნება-სურვილის თავს მოხვევას. პეგემონიზმი არ გულისხმობს სხვა ქვეყნის აუცილებლად ომით დამორჩილებას და ერთი რომელიმე სახელმწიფოს პეგემონის მაინცდამაინც ძალის გამოყენებით დამყარებას. მაგრამ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ამა თუ იმ სახელმწიფოს

სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მოცემული ქვეყანა ჰეგემონი გახდეს – მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია მას უკარნახოს საკუთარი ნება–სურვილი სხვა ქვეყნებს.

### **პეპერული სტაბილურობა**

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ერთ–ერთი თეორია, რომლის მიხედვითაც მდგრადი საერთაშორისო რეჟიმების შესაქმნელად აუცილებელი იყო საერთაშორისო ჰეგემონის არსებობა, რომელიც ნორმებისა და წესების დადგენით ბიძგს მისცემდა რეჟიმს. თანამშრომლობის დასაწყებად ჰეგემონს უნდა უზრუნველეყო საერთო ხარჯები, რომლებსაც გრძელვადიან პერსპექტივაში აინაზღაურებდა. მეცნიერებს შორის უთანხმოებას იწვევს ის, თუ რამდენად აუცილებელია ჰეგემონის არსებობა უკვე შექმნილი საერთაშორისო რეჟიმის ფუნქციონირების შემდეგ. ჰეგემონური სტაბილურობის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ამერიკის შეერთებული შტატების როლი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში (იხ. აგრ. ბრეტონ–ვუდსის სისტემა).

### **ჰუმანიტარული დახმარება**

საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დროებითი ბუნებრივი და სოციალური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით განეული და მიღებული დახმარება.

### **ჰუმანიტარული ინტერვენცია**

ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა სახის ძალის გამოყენება. საერთაშორისო სამართლით ჰუმანიტარული ინტერვენცია მართლზომიერ აქტად ითვლება, რადგან არცერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ჩაიდინოს თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამართლით აკრძალული დანაშაული – გენოციდი, აპართეიდი, ეთნიკური წმენდა და სხვ.

## გამოყენებული ლექსიკონები

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი—ცნობარი, სარედ.  
ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. თბ., 2004

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა,  
შემდგ. სამსონ ურიდია და სხვ. რედ.: ვაჟა გურგენიძე, თბ., 2004

ევროპის კავშირი: პოლიტიკა და მმართველი ორგანოები, ცნობარი  
შემდგინა ბიძინა ჯავახიშვილი; რედ., ნანა ლოლაძე, თბ., 2003

ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, შეადგინა ფრიდონ საყვარელიძემ,  
რედ., ანა ჭაბაშვილი, თბ., 1999

, M., 2010

, , II,  
1971 . . . - იხ. ბმულზე -

<http://moianauka.ru/load/21-1-0-484>

Political Dictionary – იხ. ბმულზე - <http://www.iamericanspirit.com/>

The Concise Oxford Dictionary of Politics - იხ. ბმულზე - <http://www.oxfordreference.com>

DICTIONARY OF POLITICS AND GOVERNMENT THIRD EDITION, P.H.  
Collin - იხ. ბმულზე -<http://www.transaralingo.com/pdfbooks/Dictionarystopoliticsandgovernment.pdf>

- იხ. ბმულზე [http://enbook.ru/dic\\_polit/letter\\_a/](http://enbook.ru/dic_polit/letter_a/)

- იხ. ბმულზე -[http://www.sociology.mephi.ru/docs/polit/html/sl\\_pol.html](http://www.sociology.mephi.ru/docs/polit/html/sl_pol.html)

ირაკლი მანველიძე

საერთაშორისო პოლიტიკის ლექსიკონ-  
ცნობარი

რედაქტორი

ნატალია ლაზარე

ტექნიკური რედაქტორი

გიგა ფარცენაძე

ტირაჟი 200